რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 16 ივლისი 1917 წ.

ერთობა

ყოველდღიური [illegible] გაზეთი

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] საათამდე 5 მანეთი [illegible]—6 მანეთი. [illegible]

ყველა ხელისმომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია არ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 98 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 98

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო!

გახსოვდეთ, რომ რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა თფ. ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების

სია №1

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

კვირას, 16 ივლისს, სრულ დილის 10 საათზე

ავლაბრის თეატრში (კონსტანტინოვის ქუჩ.) დანიშნული არის

მესამე რაიონის პარტიის წევრების

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება საქალაქო არჩევნების შესახებ, 2) არჩევნები თფილისის კომიტეტის წევრებისა, 3) კოლექტივის წევრების არჩევნები

კვირას, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია

არსენალის შენობაში

მიტინგი

მოხსენებას გააკეთებს დღევანდელ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე ამხანაგი პაპოვი.

კვირას, 16 ივლისს, დანიშნულია ერთობის უბნის

(მე 9 საპოლიც. ნაწილ. რკ. გზის გაღმა ნაძალადევში. ყოფილი ნაძალადევის სახლი.)

მუშათა კლუბის

გახსნის **დღესასწაული.**

დღესასწაულზე დასწრება შეუძლიათ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს და ამავე კლუბის წევრებს. აქვე შეიძლება კლუბის წევრათ ჩაწერა და შემოწირულების მიღება. საღამოს 8 საათზე, ამავე კლუბის დარბაზში გაიმართება ქართულ-სომხური წარმოდგენა. ამავე კლუბის სასარგებლოდ.

ერთობის უბნის მუშ. კლუბის **გამგეობა.**

ლანჩხუთის ნათლისმცემლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ და სთხოვს ვისაც შეძლება და სურვილი აქვს თავისი წვლილი მიაწოდოს და დახმარება გაუწიოს აღნიშნულ სამკითხველოს, რომელიც ამ ჟამად

აშენებს კაპიტალურ შენობას

და ნივთიერათ კრიტიკულ მდგომარეობაშია.

მადლობა იქნება გამოცხადებული შემომწირველების აღნიშვნით. შემწეობა: ფული და ნივთი მიიღება ამ ადრესით: М. Ланчхуты. Свящ. Виссаріону Хомерики.

თავმჯდომარე გამგეობისა მღ. ბესარიონ ხომერიკი

დღეს, კვირას 16 ივლისს, საღ. 8 საათ. მე 3 ქალთა გიმნაზიაში (ბებუთოვის ქ.) მე-3 უბნის ს. დ. საარჩევნო კომიტეტის თაოსნობით წაიკითხება

ლექცია

შემდეგ თემაზე:

„საქალაქო არჩევნები და მიმდინარე მომენტი".

ლექციის შემდეგ მოხდება საარჩევნო კომიტეტის საერთო კრება.

სავალდებულო დადგენილება

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა.

სასურსათო სამინისტროს ცირკულიარულ დეპეშების № 13 და 18192 და § 13 დროებით მთავრობის ამა წლის 30 მარტის დადგენილების თანახმად, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: მოახდინოს ანგარიში მანუფაქტურისა, ბამბეულობისა და ძაფის საქონლის შესახებ, რომელიც მოიპოვება თფილისის საწყობებში და საწვრილმანო მაღაზიებში. ცნობები არსებულ საქონლის შესახებ უნდა წარადგინონ თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტში დიდ საწყობების პატრონებმა სამი დღისა და საწვრილმანო მაღაზიის პატრონებმა ხუთი დღის განმავლობაში.

ცნობები საქონლის რაოდენობის, სიგანის, ხარისხის და ნიშნის აღნიშვნით ხელმოწერილი უნდა იყოს ხაზეინებთან ერთად ნოტარის მიერაც, რომელიც თვითეულ წარმოებაში ამორჩეული იქნება ყველა მოსამსახურეებისაგან. ნოტარი თავის ხელის მოწერით ადასტურებს სიმართლეს საქონლის რაოდენობის ჩვენების შესახებ. პასუხისგება საქონლის მართალი ცნობების მიწოდების სავსებით ხაზეინს აწევს.

იმ საქონლის გაცემა, რომელიც ბანკებში იმყოფება, წყდება დღევანდელი რიცხვიდან თფილისის გუბ. სასურს. კომიტეტის ახალ განკარგულებამდე; ბანკებს კი წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ ცნობები იმ მანუფაქტურულ საქონლის რაოდენობის შესახებ, რომელიც მათ აქვთ საწყობებში შესანახათ ან გირაოთ. მათ აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ იმ საქონლის შესახებაც, რომელსაც ახლა მიიღებენ. მანუფაქტურულ საქონლით ვაჭრობა კერძო სახლებში აკრძალულია.

თუ ვინიცობაა ვინმემ საქონელი დამალა, რაოდენობის შესახებ არა მართალი ცნობა მიაწოდა—დამნაშავე პასუხის გებაში იქნება მიცემული 29 ივნ. სასჯ. დებ. მოწერ. მთავრობის მიერ. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თფ. გუბ. სასურსათო კომიტეტი. თავმჯდომარე ნ. ელიავა, მდივანი ი. გულოტოვი.

შენიშვნა: ცნობების შესახებ ბლანკების მიღება შეიძლება სათანადო სასურს. კომიტეტებში.

14 ივლისი, 1917 წელი.

სავალდებულო დადგენილება

თფილ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა.

რომ შესაძლებელი იქნეს სწორი ანგარიშების წარმოება იმ ცარიელ ტომრების შესახებ, რომლებიც კერძო პირთა ხელშია, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის დადგენილებით:

1, აკრძალულია გატანა ქ. თფილისიდან და თფილისის გუბერნიის საზღვრებიდან ცარიელ ტომრებისა და გაყიდვა მათი თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველათ.

2, ყველა ტომრების პატრონები ვალდებული არიან სამი დღის განმავლობაში დღევანდელი რიცხვიდან წარადგინონ თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა № 8) ცნობა, თუ რამდენი ცარიელი ტომარა მათ აქვთ გარდა იმ ტომრებისა, რომლებიც სჭირდებათ ოჯახში სახმარებლათ.

შენიშვნა: ცნობებში მოხსენებული უნდა იყოს რა და რა ნაწარმოების მოსათავსებლათ (ხორბლის, ფქვილის, ბრინჯის, სიმინდის, მარილის, თესლეულობის და სხვ.) გამოსადეგი ტომრები.

3, ტომრების პატრონები ვალდებული არიან კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, წარადგინონ თფ. გუბ. სასურსათო კომიტეტის კანცელარიაში ცნობები რამდენი ტომარა მოუვიდათ და რამდენი გაგზავნეს.

4, ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემულ იქნებიან მე-29 მარტ. სასჯ. დებ. მოწ. მთავრობის მიერ.

5, ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თფ. გუბ. სასურსათო კომიტეტი.

თავმჯდ. ელიავა; მდივანი გულოტოვი. 14 ივლისი 1917 წელი.

განცხადება.

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 16 ივლისს დილის 11 საათზე დანიშნულია კლუბის დარბაზში

საგანგებო კრების გაგრძელება.

მამასახლისთა საბჭო სთხოვს კლუბის წევრთ, უთუოდ დაესწრონ კრებას, რადგანაც კრების მიერ განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა.

ვყიდი

ჭილოფებს

ხელსაყრელ ფასებში.

(დამზადებული მაქვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).

დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადათ და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркозу Патараія.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიუროს, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. მუშის წიგნაკი ქართულათ	20 „
10. თოხა ძმა ქართულათ	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. საკითხი ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრ. მისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.
3. უწყება, მე 6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ.
4. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუსულათ.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციულ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ საიდაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რუსთველის ქუჩა № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ., მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

„რევოლიუციონერები".

რუსეთის რევოლიუციამ მრავალი პოლიტიკური პარტიების ფიზიონომია გამოაშკარავა. ვინც აქამომდის წითელ დროშის ქვეშ თავს აფარებდენ—დღეს თავიანთ მოქმედებით დიდი რევოლიუციის წინააღმდეგ გამოდიან და რევოლიუციის გაღრმავება საფრთხეში ჩააყენეს.

აქ ბურჟუაზიულ ლიბერალურ პარტიებზე ლაპარაკიც მეტია; მათ მოიმოქმედეს ის, რასაც მათ კლასობრივი მდგომარეობა, კლასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები კარნახობდა.

უკანასკნელებმა რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე რევოლიუციონურ კლასების წინააღმდეგ კურსი აიღეს და დეზორგანიზაციული მუშაობა დაიწყეს. სიტყვით თუ საქმით რევოლიუციონურ ორგანოების წინააღმდეგ მოქმედებდენ და რევოლიუციონურ ძალების დანაწილება დასუსტებას შეუდგნენ.

ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ რევოლიუცია ფართო, უუფლებო მასის მიერ უფლების მოპოვებას ნიშნავს; ბურჟუაზიამ ძალიან კარგათ იცის, რომ ფართო მასის მიერ მოპოვებულ უფლების განმტკიცება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა რევოლიუციონური ავანგარდის გარშემო მეტი ძალები იკრიბებიან, ფართო დემოკრატია კავშირდება და მისი უტყუარი მასიური ინსტინქტი რევოლიუციონური მუშათა კლასის გარშემო ორგანიზაციულათ შეკავშირდება, რევოლიუციონურ კლასის დირექტივებს დაემორჩილება. ეს კარგათ იცის ბურჟუაზიულმა კლასებმა და ამიტომაც არის ის ამ ნიადაგზე მედგრათ მუშაობს; მუდამ იმის ცდაშია მასაში დეზორგანიზაცია მოახდინოს, რევოლიუციონური ძალები გათიშოს, ხალხის დიდ უმრავლესობაში ნამდვილ რევოლიუციონურ კლასს სახელი გაუტეხოს, ხალხის თვალში ანტიპატია დაიმსახუროს და ამ გზით ის შეუგნებელი და ნაკლებათ გათვითცნობიერებული დემოკრატია, რომელიც სამართლიანათ პროლეტარიატს მისდევს თავისაკენ გადაიბიროს. ფართო დემოკრატიის თავისი მხრივ დადებით ბურჟუაზიის რიცხვით გაადიდებს, ლაშქარს გაუმრავლებს და მით უმცირესობიდან უმრავლესობათ გადიქცევა. რუსეთის გაბატონებულ კლასებისთვის საზოგადოებრივი და ობიექტიური პირობები ერთგვარათ ხელსაყრელია. იმპერიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობას წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები შეადგენენ. პროლეტარიატი და გადატაკებული გლეხკაცობა შედარებით სხვა [illegible] ბურჟუაზიასთან, მემამულეებთან და წვრილ და საშუალო მესაკუთრეებთან მეტად მცირე და ნაკლებია. მაშასადამე უკანასკნელ კლასები ე. ი. საშუალო და წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები თავიანთ ეკონომიური მდგომარეობით ნამდვილი პროლეტარები არ არიან და პროლეტარიატის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მოთხოვნას ბოლომდის ვერ გაყვება. ესენი თავიანთ ობიექტიური მდგომარეობით ტყვეს მდგომარეობაშია და როცა რევოლიუციონური კლასები ობიექტიურ პირობებს ანგარიშს არ უწევენ და პროლეტარიატის საბოლოო მიზნის განხორციელებას ცდილობს, მაშინ ბურჟუაზია საშუალო ბურჟუაზიისაკენ მიეშურება, მათ წითელი საფრთხის აჩრდილს უჩვენებს და ამ საშუალებით მათ თავისაკენ ეწევა.

ხშირათ ბურჟუაზია ხელოვნურ ხერხსაც კი მიმართავს ხოლმე. გერმანიის არქი-რეაქციონერმა—ბისმარკმა გერმანიის პროლეტარიატს რეიხსტაგში საყოველთაო საარჩევნო უფლება მიანიჭა და ამ გზით გერმანიის პროლეტარიატს საშუალო ბურჟუაზია ჩამოაშორა. ამ გვარი მაგალითები ისტორიაში ერთობ მრავალია და ბურჟუაზია ამ ნიადაგზე მუშაობს. ხშირათ იგი ლუმპენ პროლეტარებსაც კი იყენებს ხოლმე და მისის მაგალითიც ვიცით, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ პარი-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ახმარეზზე სამხრეთის ფრონტზე, რუსეთის ჯარის მდგომარეობა თანდათან უარესდება, უკანასკნელი თითქმის მუდამ უკან იხევს და მტერს მრავალ სურსათს, საომარ მასალას უტოვებს. რუსის ჯარის დეზორგანიზაცია გრძელდება, მოწინააღმდეგეს შესაფერ წინააღმდეგობას ვერ უწევს სერეტისა და დნესტრის მთელი ფრონტიდან ჯარების აღმოსავლეთის კენ უკან დახევა გრძელდება. ჯერ არავინ იცის თუ სად მოახერხებს რუსის ჯარი შეჩერებას და სად გამაგრდება მტრის წინააღმდეგ კონტრ-იერიშების მისატანათ.

ჯარის სწრაფათ უკან დახევა და მტრის ხელში დიდძალი სურსათის დატოვება, მეტათ მძიმე პირობებში აყენებს უკან დახეულ ჯარს და მას ზურგს უკან გამოსაკვები სურსათი აღარ მოეპოვება. ასეთი მდგომარეობა კი მეტათ საშიშია და მოსალოდნელია ისედაც დეზორგანიზაციული ჯარი უფრო დაბლა დაეშვას და კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება დაიწყოს ამიტომაც არის დროებითი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს უკან დახეულ ჯარს საჭირო სურსათი სწრაფათ მიაშველოს.

კავკასიის ფრონტზე ჩვეულებრივ სიწყნარეა

საფრანგეთისა და იტალიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

ზის რევოლიუციონური პროლეტარიატი ლუმპენ პროლეტარების ხმარებით დაამარცხა.

მხოლოდ საქმე ახლა იმაშია, რომ რუსეთის რევოლიუციის ხანაში ბურჟუაზიის ასეთ მოქმედებას მხარი გაუმაგრა ეგრეთწოდებულმა სოციალ-დემოკრატების „მემარცხენე" ფრთამ ბოლშევიკებმა. მათ თავიანთ ანარქისტულ და ბლანკისტურ მოქმედებით ფართო მასის ორგანიზაციული შეკავშირება თითქმის გათიშეს; მათ თავიანთ ანარქო სოციალისტური გამოსვლებით, თავიანთ უტოპიური ლოზუნგებით 3—5 ივლისს მრავალი ძალები ქუჩაში გამოიყვანეს და მთელი რუსეთის რევოლიუცია საფრთხეში ჩააყენეს. მათ თავიანთ უპასუხისმგებლო მოქმედებით, უტოპიური ლოზუნგებით ნამდვილ რევოლიუციონურ კლასებს, რევოლიუციონურ ორგანოებს, რომელსაც რუსეთის დემოკრატიის უმრავლესობა მხარს უჭერდა, ბლოკა შემოარტყეს და ძალმომრეობის მეოხებით მოისურვეს მათთვის თავიანთ უტოპიური აზრი მოეხვიათ. ბნელმა ძალებმა მათ დროშის ქვეშ თავი შეაფარეს; მრავალმა გერმანიის დაქირავებულმა აგენტებმა ბოლშევიკების ლოზუნგები საკუთარ ლოზუნგებათ გაიხადეს და მათთან ერთად მწყობრათ გამოდიოდენ.

ყველა ამან ერთად აღებულმა გამოიწვია სრული დეზორგანიზაცია, როგორც შიგნით ისე ფრონტზე და დღესაც ეს დეზორგანიზაციული პროცესი არ დამთავრებულა. ბოლშევიკების ობიექტიური პირობების აუწონ დაუწონლობამ, მათმა უმგვანო დემოგოგიამ და უტოპიურმა ლოზუნგებმა ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება უფრო გააძლიერა და ბოლშევიკები ერთხელ და სამუდამოთ მეცნიერულ მარქსიზმის გზას გამოეხოვნენ.

ამის შემდეგ მათ კიდევ შერჩენიათ ზნეობრივი უნარი თავიანთ თავს და თავიანთ ფრაქციას რევოლიუციონერები უწოდონ და ხალხში მარქსისტების სახელით გამოვიდნენ! ბოლშევიკების მოქმედებამ მარქსიზმს ჯვარი დაუსვა და ისინი სამუდამოთ გამოეთხოვნენ მას.

პრესა.

თფილისელი სოციალისტ რევოლიუციონერები დიდ ფაცი-ფუცში არიან. სხვა ნაირად არც შეიძლება. მოახლოვებულია საქალაქო არჩევნები,—ეს ხალხიც „საქმიანობს". მათი გაზეთი „ზნამია ტრუდა" ბურჟუაზიულ პარტიებს ფარდას ხდის და არ იკითხავთ ვინ არიან ბურჟუაზიული პარტიები? თფილისში მხოლოდ კადეტები ყოფილან! აბა, დაშნაკელებზე ხომ არაფერს დასწერენ. ის ხომ „სოციალისტური" პარტიაა, რომელიც, როგორც ერთმა სოციალისტ-რევოლიუციონერმა სთქვა, მასალათ გამოგვადგება. მხოლოდ კითხვა იბადება: ვინ ვის გამოადგება მასალათ დაშნაკელები სოციალისტ რევოლიუციონერებს თუ პირიქით. ჩვენის აზრით, დაშნაკელების „მასალა" სწორედ სოციალისტ-რევოლიუციონერები არიან. გაზეთი სწერს:

„სოციალისტებს მოუხდებათ ისეთი პროგრამის წამოყენება, რომელიც საქალაქო მეურნეობის სფეროში სოციალიზმთან დაგვაახლოვებს".

ეს კარგი, მაგრამ ამხანაგნო, რა თქმა უნდა, არჩევნებში ჩვენს წინააღმდეგ დაიწყებენ ისეთი საშუალებებით ბრძოლას, როგორც ეს მათ ბაქოში მოიმოქმედეს. ასეთი ბრძოლის საშუალებებით, უეჭველია, სოციალიზმს დაუახლოვდებით!

⁂

„კავკასიის ჯარის ცენტრის ორგანო" ებრძვის ჩვენი ჯარის უკან დახევას. არკვევს, თუ რატომ იბრძოდა ჯარი ძველი წესწყობილების დროს და რატომ არ იბრძვის ეხლა. ის სწერს:

„მაშინ (ე. ი. ძველი წესწყობილების დროს) ჯარში დისციპლინას ჯოხით ამყარებდენ, ჯოხის საშუალებით ჰყავდათ ჯარი მუდამ მზათ საომრათ. ახლა ჯოხის დისციპლინა ურთიერთ ნდობის, პატივისცემის, და შეგნების დისციპლინამ დაიკავა და სწორედ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ გამხრწნელი ავადმყოფობისათვის წინააღმდეგობა გაეწია".

⁂

„ბოლშევიკების" „კავკაზსკი რაბოჩის" აზრით, ყველაფერში დამნაშავეა დროებითი მთავრობა. კერძოთ კი, კერენსკი. გაზეთის აზრით რუსეთში შიმშილობის გაძლიერებასაც ხელს უწყობს კერენსკი, ვინაიდან „ოფენსივში" გაწვეული ჯარის კაცები ისევ ჯარში გაიწვია, რითაც სოფლად პური შეუნახავი დარჩა".

ბურჟუაზია (თუ საბჭოები?) რევოლიუციონური დემოკრატიის მეთაურებს „ბოლშევიკებს" ებრძვიან, ამიტომ გაზეთი მოუწოდებს ჩვეულებრივათ: ძირს ბურჟუაზიული მთავრობა, ძირს ხალხის ინტერესებით მოვაჭრე სოციალისტი მინისტრები! აი ემსახურება ეს გაზეთი და საზოგადოთ „ბოლშევიკები" რევოლიუციის გაღრმავების საქმეს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 13—14 ივლისი).

მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა ცენტრალურ ორგანოების კრება.

პეტროგრადი. 13 ივლისს დილით ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა ცენტრალური ორგანოების კრება. კრების დაწყებისას მოვიდნენ მინისტრი სოციალისტები. პირველათ გამოვიდა კერენსკი, რომელმაც სთქვა: ვიკისრე რა დროებით მთავრობის თავმჯდომარის მძიმე მოვალეობა, მე ჩემს მოვალეობათ დავინახე მოვსულიყავ თქვენთან და მოგსალმებოდით სრულიად რუსეთის დემოკრატიას. დროებით მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ მას ღრმად სწამს რუსეთის ხალხის სინდისიერება და გონიერობა, უმეტესათ რუსეთის დემოკრატიის, რომელიც დაეხმარება რუსეთის სახელმწიფოს თავი დააღწიოს საშიშ მდგომარეობას ჩვენ ვიკისრეთ დავიხსნათ: სამშობლო, რევოლიუცია, ყველა ის, რაც სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია—თავისუფლების [illegible]. ფრონტის გარღვევით, მოღალატეთა, პროვოკატორების და სამშობლოს გამყიდველთა და გერმანიის მთავრობის აგენტების წყალობით, გზა გაეხსნა კონტრ-რევოლიუციონერებს რევოლიუციის [illegible]. დროებითი მთავრობა სასტიკი ზომებით წინააღმდეგობას გაუწევს, როგორც მარჯვენა კონტრ-რევოლიუციონერთა მოქმედებას ისე მარცხენა ანარქიას. ის რაც უბედურობა თავს დაგვატყდა ერთ ბეჯითაც ფეხს ვერ აცვლევინებს სახელმწიფოს (ტაში) ფრონტზე მომხდარი ამბავი პირდაპირ გვკარნახებს გაძლიერდეს ჯარი, მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიფოთ რევოლიუციის გასამაგრებლათ. მოსკოვში სრულიად რუსეთის თათბირზე დროებითი მთავრობა მიმართავს მოწოდებით რევოლიუციის და სახელმწიფოს დასახსნელათ. ამ თათბირზე მოიწვევენ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კერენსკი მიმართავს თხოვნით ცენტრალურ კომიტეტებს სრული შემადგენლობით დაესწრონ თათბირს, რომელსაც სახელმწიფო დუმაც მოსკოვის და პეტროგრადის ქალაქის საბჭო, სავაჭრო-სამრეწველო კლასი, სრულიად რუსეთის კოოპერატივების და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური კომიტეტები, უნივერსიტეტები და სხვა საზოგადო დაწესებულებები დაესწრება. დროებით მთავრობა ამ თათბირზე სრულიად და აშკარათ გააცნობს დღევანდელ მდგომარეობას და გადაჭრით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა კოალიციურ საფუძველზე უნდა მოეწყოს, რომ ყველა ცოცხალი ძალები, რომლებიც კონტრ-რევოლიუციას კრიზისში [illegible] დროებით მთავრობის გარშემო უნდა შემოკრბნენ. პირადათ კერენსკი აცხადებს: აღმასრულებელმა კომიტეტებმა სრული დახმარება უნდა გაუწიონ მთავრობას, გადაჭრით განცალკევდნენ იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კონტრ რევოლიუციის ძალას მატებენ (მქუხარე ტაში).

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით აცხადებს: მთავრობას იმედი ჰქონდეს, რომ მას დავეხმარებით და მხარს დავუჭერთ ჩვენ არავითარ მსხვერპლის წინაშე არ დავიხევთ რევოლიუციის და რუსეთის დასახსნელათ (მქუხარე ტაში, აქა-იქ ისმის ხმა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს რევოლიუციის მხსნელ მთავრობას"; ყველანი ფეხზე დგებიან და კერენსკის ტაშს უკრავენ და ურას ყვირიან. პრეზიდიუმის წევრებს ის აყვანილი მიჰყავთ და ხელს ართმევენ. კერენსკის ეხვევა და ჰკოცნის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ავქსენტიევ). კერენსკი მიდის ტრიბუნისკენ და აცხადებს: დროებით მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ყოველივე ცდას მონარქიულ წესწყობილების აღდგენისა სასტიკ ულმობელ ზომებით ჩავაქრობთ (ტაში) ტრიბუნაზე ადის დანი და აცხადებს: ის, რისთვისაც მოუწოდებს კერენსკი, მენშევიკებმა უკვე სისრულეში მოიყვანეს. ჩვენ არა თუ მარტო მზათ ვართ მხარი დავუჭიროთ დროებით მთავრობას, არამედ გადავცეთ მას ხელში მთელი ძალა უფლება, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ ძალა უფლებით ისარგებლოს მთავრობამ. ჩვენ ვერ შეგვაშინა ცენტრალურ კომიტეტის ერთი ფრაქციის წინააღმდეგ მიღებულმა რეპრესიებმა; ჩვენ მოვითხოვთ კიდევ უფრო სასტიკ ზომებს კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ მარჯვნიდან". განცალკევების შესახებ დანმა სთქვა: „ჩვენ კერენსკის მოწოდებამდე ვებრძოდით იმათ, რომლებსაც, ჩვენი აზრით, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ რევოლიუციაში". დანმა წინადადება შეიტანა მიიღონ დილით მენშევიკების და ს.-რევოლიუციონერების მიერ შემუშავებული რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია: „რევოლიუციონური დემოკრატია დაინტერესებულია გასამართლებულ იქნენ ის ბოლშევიკები, რომლების წინააღმდეგ წამოყენებულია ბრალდება, რომ იგინი აქეზებდენ აჯანყებისათვის და ნემეცებიდან ფულებს იღებდენ. შეუძლებელია ლენინი და ზინოვიევი რომ არ გაასამართლონ. (აღმასრულებელი კომიტეტები?) მოითხოვენ ბოლშევიკებისგან დაუყონებლივ და საჯაროთ დაჰგმონ თავიანთ ბელადების ასეთი მოქმედება. განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო აღმასრულებელი კომიტეტები მოითხოვენ თავის წევრ ყველა ფრაქციებისაგან, რომლებიც მასში შედიან, აუცილებლათ შეასრულონ ყველა დადგენილება, რომელსაც მიიღებს სრულიად რუსეთის ცენტრალური ორგანოები. ის პირნი, რომელთა წინააღმდეგ სასამართლოს მიერ აღძრული არის საქმე, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდენ აღმასრულებელ კომიტეტებს, სანამ მათ შესახებ სასამართლო რაიმე განაჩენს გამოიტანს. წინადადება ეძლევა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს, რაც შეიძლება დაჩქარებით მოახდინოს ხელ ახალი არჩევნები სრული თავის შემადგენლობის". შემდეგ გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით აქსენტიევმა განაცხადა, რომ საკითხი შეეხება მრავალი ხალხის სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და რუსეთის დახსნის საქმეს. უნდა დავეხმაროთ მთავრობას და ჩვენი მოქმედებით ცხოვრებაში გავატაროთ რევოლიუციონურ დემოკრატიის დიქტატურა.

ფრონტზე სურსათი შემოკლდათ.

პეტროგრადი. სურსათის მინისტრს ბანაკიდან აცნობებს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ფრონტზე ძლიერ ნაკლებ და მიდის სურსათი. რადგანაც ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უმზადებს თავისუფლების საქმეს და სამშობლოს, მინისტრმა საწრაფო დეპეშით აცნობა ყველა სასურსათო კომიტეტებს გააძლიერონ ფრონტზე სურსათის მიწოდების საქმე.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

პეტროგრადი სინოდის იურიდიულმა კომისიამ შესაძლებლათ სცნო მიენიჭოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

მიწების ყიდვა-გაყიდვა.

პეტროგრადი, რომ მიწების სპეკულიაციას და ფიქტიურ ყიდვა-გაყიდვას ბოლო მოეღოს, დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვის დროს ნოტარიუსმა ნებართვა უნდა აიღონ ადგილობრივ საგუბერნიო კომიტეტებისაგან, რაც მიწათ-მოქმედების სამინისტრომ და დროებითმა მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. გამოცხადებულია, რომ 1917 წ. 11 ივლისს სოფლის მიწებზე შემდგარი აქტები ვერ შეზღუდავს დამფუძნებელ კრების თავისუფალ მოქმედებას.

მთავრობის შემადგენლობა.

პეტროგრადი მთავრობის შედგენის შესახებ დროებითი მთავრობა იმ აზრს დაადგა, რომ მთავრობაში აუცილებლათ უნდა მიიღონ მონაწილეობა ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. საჭიროთ სცნობენ ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელთა წასვლით დარღვეული კოალიციური პრინციპი აღდგენილ იქნეს, ყველა კითხვების გადასაწყვეტათ ხელმძღვანელობა მიენდო კერენსკის, რომ ქვეყნის მართვა გამგეობა ყველა ავტორიტეტულ ჯგუფების ხელში იყოს.

გაზეთების დახურვა.

რეველი ჯარის ნაწილების განკარგულებით დახურეს ბოლშევიკების გაზეთები: ესტონური „კიირ" და რუსული „უტრო პრავდი".

გერმანელთა ოინები.

პარიზი. რუსულ ბანკების წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანელები რუსულ მანეთებს ყიდულობდენ აგენტების შესანახათ, რომ რუსეთში აჯანყება მოეწყოთ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს ცენტრალურ და გლეხთა დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტების კრება.

პეტროგრადი ინტერნაციონალისტებმა ნოგინმა და რიაზანოვმა სიტყვა წარმოსთქვეს ბოლშევიკების გასამართლებლათ. კრებამ რამდენჯერმე შეაწყვეტინა მათ სიტყვა და პროტესტი განუცხადა ნოგინს და რიაზანოვს პასუხი გასცა აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ლიბერმა. „აღმასრულებელი კომიტეტები არავის პირში ბურთს არ სჩრიან, სთქვა მან, მაგრამ მოითხოვენ, რომ უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობას". წერეთელი ამბობს: „დადგა დრო, როცა უნდა დავიხსნათ რევოლიუცია და ქვეყანა. იმ დროს, როცა გარეშე მტერი გვეწევა და განადგურებას გვიქადის და შინ ანარქია არის გამეფებული ერთმაც არ უნდა დაიძრას კრინტი დროებით მთავრობის პლატფორმის წინააღმდეგ, როგორც საერთო სახალხო პლატფორმის". მიწის საკითხის შესახებ მთავრობისადმი უკმაყოფილო ბრალდების წინააღმდეგ წერეთელმა სთქვა, რომ მთავრობამ ცხოვრებაში გაატარა მიწების ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვის შესახებ კანონპროექტი და მით შეასრულა მთელი ხალხის მოთხოვნა.

შემდეგ შეეხო მოსკოვის თათბირს და სთქვა, რომ ტყუილათ ჰგონიათ ზოგიერთებს თითქოს ამ თათბირს კონტრ-რევოლიუციის ნიშნები ეტყობოდეს. მოსკოვის თათბირებზე დროებითი მთავრობა გულახდილათ გააცნობს ყველას რა გასაჭირში ვართ, მოუწოდებს ყველას მსხვერპლის შეწირვისათვის და უჩვენებს გზას, რომლითაც შეიძლება სამშობლოს ხსნა. ყველა მათ, ვისაც ესმის, რომ დღეს დრო არ არის ვიწრო-ეგოისტურ პარტიულ პლატფორმის გატარების, ვისაც გულში ღვივის სამშობლოსადმი სიყვარული, ყველამ ხმა უნდა მისცეს მთავრობის გამოძახილს. კონტრ-რევოლიუციამ დროებით თავი წამოჰყო, მაგრამ მთავრობა მას კისერს მოუგრეხს თუ ძირიანათ ამოგლეჯს მოღალატეობის და გაყიდვის ყოველგვარ ნასახს. ამის გაკეთება შეუძლია რევოლიუციონურ მთავრობის ორგანოებს. (მქუხარე ტაში). კენჭი უყარეს დანის რეზოლიუციას. ინტერნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ. 11 ხმის წინააღმდეგ რეზოლიუცია დიდის ხმის უმეტესობით მიიღეს.

კრონშტადის კომიტეტის დელეგატები.

პეტროგრადი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გამოცხადდა კრონშტადის კომიტეტის დელეგაცია და განაცხადა, რომ დროებით მთავრობის მოთხოვნის გამო კრონშტადელებმა დაადგინეს დაემორჩილონ გადაწყვეტილებას, მოახდინონ გამოძიება იმ პირთა შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობდენ 4 ივლისს კრონშტადელების შეიარაღებულ გამოსვლას. დელეგაციასთან ერთათ გამოცხადდა რემნევი და რასკოლნიკოვი, რომლებიც გადაეცა სამხედრო შტაბს და სასამართლო მთავრობას. როშალი მიიმალა და ჯერ ვერ უპოვნიათ. კრონშტადის კომიტეტმა დაადგინა სასტიკი ზომები მიიღოს როშალის წინააღმდეგ, დააპატიმროს და გამომძიებელს ჩააბაროს. ამასთანავე განაცხადეს, რომ კრონშტადის დეპუტატთა საბჭო მზათ არის ყოველის ხრივ დახმარება გაუწიოს 3—5 ივლისს მომხდარ ამბების გამომძიებელს.

საფრანგეთის სოციალისტური პარტია.

პარიზი. საფრანგეთის სოციალისტური პარტია გულ წრფელ სალამს უძღვნის რუსეთის ახალ მთავრობას და ამაყობს მით, რომ კერენსკისა და დეპუტატთა საბჭოს სხვა წარმომადგენლების სახით სოციალიზმი პირველათ უწევს ხელმძღვანელობას ნაციონალურ პოლიტიკას თანამედროვე დიდ სახელმწიფოში. ეს არის ღირსეული შედეგი მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მედგარ ბრძოლის, რომელსაც 40 წლის განმავლობაში ხმალი ძირს არ დაუშვია მეფის მთავრობასთან ბრძოლაში.

ფინლიანდიის დამოუკიდებლობის შესახებ კანონი

ჰელსინგფორსი ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან: ფინლიანდიის სეიმის მიერ მიღებული [illegible] დამოუკიდებლობის კანონის შესახებ გენერალ გუბერნატორის ხელით წარედგინება დროებით მთავრობას. კანონში ნათქვამია: მუხლი 1, სეიმს უფლება აქვს დაამტკიცოს და სისრულეში მოიყვანოს ფინლიანდიის ყველა კანონები, მათ შორის ფინანსიური, საბაჟო და სხვა. სეიმი საბოლოოთ სწყვეტს ფინლიანდიის ყველა დანარჩენ საქმეებს, რომელსაც აქამდისინ არსებულ კანონებით რუსეთის მეფე სწყვეტდა. ამ კანონს არ ეხება საგარეო პოლიტიკის საქმე, სამხედრო კანონმდებლობა და მართვა-გამგეობა.

მუხლი 2. სეიმი მორიგ სესიის დროს იკრიბება მოუწვევლათ და მუშაობას აწარმოებს იმ დრომდე, სანამ ფინლიანდიაში ახალი მართვა-გამგეობის ფორმას შემოიღებენ. სეიმი თვით სწყვეტს არჩევნების დანიშვნის და სეიმის დახურვის საკითხს. მუხლი 3. სეიმი ნიშნავს ფინლიანდიის აღმასრულებელ მთავრობას. უმაღლესი აღმასრულებელი მთავრობა დროებით ეძლევა ფინლიანდიის სეიმის სამეურნეო დეპარტამენტს, რომელთა წევრებს ნიშნავს და ითხოვს სეიმი.

პოლონელები და გერმანელები.

სტოკჰოლმი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ნამდვილ წყაროებიდან ატყობინებენ, რომ რუსეთის პოლონეთის მცხოვრებნი ძლიერ მტრულათ ექცევიან გერმანელებს. ყველაზე მეტათ აღელვებული არიან გლეხები, რომლებსაც ყველაფერს ართმევენ გერმანელები. ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ პოლონეთი გერმანიასთან იქნება დამოკიდებული. შეუძლებლათ მიაჩნიათ პოლონეთში აღმოსავლეთით გერმანელების შეტევა, რადგან ზურგს უკან მათ ეყოლებათ მათ წინააღმდეგ ამხედრებული მცხოვრებნი. პოლონელ ლეგიონებს გერმანელები ვერ გამოიყენებენ თავის მიზნისთვის.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 14 ივლ. პრიპეტის ჩრდილოეთით, სმორგონსა და კრევოს შუა სროლა გაცხოველდა. ტარნოპოლის ჩრდილოეთით, მდ. სერეტზე მტერმა დაიკავა პლოტიჩი და ჩისტილოვი. ტარნოპოლის აღმოსავლეთით, ლოზოვა-სმიკოვეცის ფრონტზე მოწინააღმდეგის იერიშები [illegible] ტრემბოვლის სამხრეთ-აღმოსავლეთით [illegible] ჯარმა აღმოსავლეთით დაიხია. ჩერტკოვის ჩრდილოეთით, ტლუსტოვის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

12 ივლისს კოროსმიატინი-კომაროვკას რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი მარჯვეთ იბრძოდა და ზოგიერთა ადგილებში გაიმარჯვა. მონასტირისკის სამხრეთ-დასავლეთით მტრის ქვეითი ჯარის იერიშები მოვიგერიეთ. ცხენოსანი ჯარის შეტაკების დროს ოსეთის პოლკის კომანდირი ხეთაგუროვი სასიკვდილოთ დაიჭრა. მდ. დნესტრსა და კარპატებს შუა ჩვენი ჯარი აღმოსავლეთისაკენ იხევს.

რუმინიის ფრონტზე მდ. უზის ზემო ნაწილებში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და გამაგრდა. მოწინავე რაზმებმა სოფ. [illegible] მიაღწიეს. 13 ივლისის ბრძოლის დროს რუმინიის ჯარმა მრავალი ტყვე წამოიყვანა, ხელთ იგდო 6 ზარბაზანი, 3 ტყვიის-მფრქვეველი და მრავალი საომარი მასალა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ახალი ამბები

სოხუმის ქალაქის თავი. როგორც დეპეშით გვატყობინებენ, სოხუმის ქალაქის თავათ არჩეულია ამხ. ბენია ჩხიკვიშვილი. ქალაქის გამგეობაში—ვლადიმერ ემუხვარი (სოც.-დემ.) და მელქ. გრიგოლია (სოც.-რევ.) ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ აურჩევიათ სოციალ-დემოკრატი დიმიტრი ზახაროვ ესვანჯია.

◆ **ოსები ს.-დემ-ებს აძლევენ ხმას.** 13 ივლისს შესდგა თფილისში მცხოვრებ ოსების კრება. ამხ. ვ. [illegible] წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ქალაქის თვითმართველობა და რ. ს.-დ. მუშათა პარტიის მუნიციპალური პროგრამა". ლექციის შემდეგ გაიმართა საუბარი. კრებამ ერთხმათ დაადგინა, თფილისში მცხოვრებ ყველა ოსებმა საქალაქო არჩევნებში ხმა მისცენ სოციალ-დემოკრატების სიას.

◆ **ალექსანდრის ბაღში.** როგორც ვიცით ალექსანდრეს ბაღში მოწყობილია ჯარისკაცთა კლუბი. აქ ყოველ საღამოს იმართება ჯარისკაცთა მრავალრიცხოვანი კრებები. არკვევენ სხვადასხვა საპოლიტიკო კითხვებს. პირველათ კრებებზე გამარჯვებას მეუმრავლესენი დღესასწაულობდენ. მათ მოწინააღმდეგე ორატორებს ძვირათ თუ ალაპარაკებდენ. მეუმრავლესეთა ლოზუნგებს დიდი გასავალი ჰქონდა ჯარისკაცთა შორის. მაგრამ პეტროგრადის ამბებმა ბევრს აუხილა თვალი. ახლა დარწმუნდენ, რომ მეუმრავლესეთა გამოსვლები და მასთან შეკავშირებული უპასუხისმგებლო პირთა მოქმედება რევოლიუციას საფრთხეს უმზადებენ. ალექსანდრეს ბაღის აუდიტორიაც თანდათან შორდება მეუმრავლესეებს. მათ ორატორებს დღეს გულ-ცივათ ხვდებიან და დემაგოგიურ გამოსვლების ნებას არ აძლევენ. დღეს მეუმცირესე ორატორებს აღფრთოვანებით ეგებებიან და გულდასმით უსმენენ. ყველა თავის რეზოლიუციებში მეუმცირესეთა თვალსაზრისს ატარებენ. გადაჭრით აღიარებენ საბჭოებისა და რევოლიუციონურ მთავრობის პირველ დაძახებისთანავე მზათ ვართ დავიცვათ თავისუფლება როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერთაგანო. მეუმრავლესე ორატორებიც ახლა იშვიათად გამოდიან, რომ არასასიამოვნო მდგომარეობაში არ ჩავარდენ.

◆ **აჭარლები.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრს ა. ჩხენკელს დეპეშით სთხოვენ მოახდინოს განკარგულება იმ აჭარელთა განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მიუხედავათ სასჯელის პატიებისა, დღესაც სხედან მარკოვსკის (ირკუტსკის გ.) და კლიბინსკის ციხეებში.

◆ **ახალი ჟურნალი.** დღეს გამოვიდა ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი: „სოფლის მუშა". ჟურნალში დაბეჭდილია ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობაზე მიღებული ყველა რეზოლიუციები, გ. ქუჩიშვილის ლექსები, ს. პარინეშვილის ესკიზი დღევანდელი რევოლიუციის ცხოვრებიდან და სხვა საყურადღებო წერილები. საერთოდ ჟურნალი შინაარსიანია, მდაბიო ენითაა დაწერილი და ღირს 20 კაპ.

◆ **ლიტერატურული საღამო სოფლათ.** 22 ივლისს ს. [illegible] (ამტრ. რაიონი) გაიმართება ლიტერატურული საღამო. მონაწილეობას მიიღებენ თფილისიდან საგანგებოთ ჩამოსული ძალები.

◆ **სამოსწავლო ოლქის მმართველობა.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტმა მოაწყო სამოსწავლო ოლქის მმართველობა. ოლქს განაგებს ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კოლეგიალური დაწესებულება. მმართველობაში დანიშნულია თავმჯდომარეთ პროფესორი ნ. ა. დუბროვსკი. წევრებათ არჩეულია ქართველებისაგან ლევან ნათაძე, სომხებისაგან—ს. ფ. ტიგრანიანი და თათრებისაგან—გამიდ ბეგ ბახტინსკი.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი** კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფილა საჭირო ბინის უქონლობის გამო. კავშირი სთხოვს ამ. კავკ. განსაკუთრებულ კომიტეტს მოახდინოს განკარგულება, რომ მის (კავშირის) ხელში გადავიდეს ლაზარევის (მიხაილოვის ქ. № 170) ან ვეტცელის ქარხნის (დიდი მთავრის ქ.) შენობა.

◆ **მილიციის უფროსმა** კ. ჩუხოვამ წინადადება მისცა მილიციონერებს, ვისაც სურს

გადასცლოს ჯამაგირის ერთი პროცენტი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის სასარგებლოთ.

◆ **მკვლელობა.** 14 ივლისს, ღამის 12 ს. მტკვრის პირათ მოჰკლეს მე—218 პოლკის ჯარისკაცი ს. ხუდაინიანცი. დაჭრილია 3 კაცი. მკვლელობა, როგორც ირკვევა, რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

◆ **შეწირულება.** 1 აპრილს ორთქლმავალმა იმსხვერპლა თფილისის სადგურის მუშა ამხ. ბარნაბა ლადიმეს ძე ფუჯიჯურიძე. ამხანაგებმა ერთ-ერთ შორის შეაგროვეს 212 მან. გარდაცვალებულის დასაკრძალავათ. ამ თანხიდან დარჩა 10 მან, რასაც უგზავნით ერკეთის სამკითხველოს ამხ. ბარნაბას ხსოვნის აღსანიშნავათ. ამხანაგების მინდობილობით დიმიტრი [illegible].

◆ **მატარებლის მსხვერპლი.** 13 ივლისს ღამით სად. ნავთლუღს ახლოს მატარებელმა იმსხვერპლა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი პეტრე ფურუნკაშვილი.

◆ **ერთობის უბანი.** დღის 12 საათზე (ნადიროვკაში) დანიშნულია ერთობის უბნის მუშათა კლუბის გახსნის დღესასწაული. დღესასწაულზე დასწრება შეუძლიათ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს და ამავე კლუბის წევრებს. აქვე შეიძლება კლუბის წევრთა ჩაწერა და შემოწირულების მიღება. საღამოს 8 საათზე ამავე კლუბის დარბაზში გაიმართება ქართულ-სომხური წარმოდგენა ამავე კლუბის სასარგებლოთ.

◆ **სად. ავჭალა.** 7 ივლისს, სად. ავჭალის საბარგო ვაგონების დარაჯი, სტეფანე ჯანაშვილი საღამოს 9 საათიდან უგზო უკვლოთ დაიკარგა. 8 ივლისს, დილით ნახეს გატეხილი ერთი ვაგონი, საიდანაც წაუღიათ 4 ტომარა ფქვილი. მოსამსახურეები შეუდგნენ ჯანაშვილის ძებნას. 10 ივლისს იპოვეს მისი გვამი სადგურიდან 2 ვერსის მანძილზე ხევში. იმ ღამესვე იქნა გამოწვეული ექიმი, გამომძიებელი და ნავთლუღის რაიონული კომიტეტი. ექიმის შემოწმებით ჯანაშვილი არის ხელით დამრჩვალი და შემდეგ ქვებზე ნათრევი. ჯერ-ჯერობით ბოროტ-მოქმედთა კვალს ვერ მიაგნეს. გამოძიება სწარმოებს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 8 საათ. ვაჟების პირველ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება.

— დღეს, საღამოს 8 საათზე ვერის მუშათა კლუბში (ფილენის ქუჩა, მე 6 სავაჟო გიმნაზია) გაიმართება საღამო ორ განყოფილებით. პირველ გან. ლექცია, მეორე გან. წარმოდგენილი იქნება ოინბაზი ავ. ცაგარელისა.

— დღეს, საღამოს 8 საათზე მე 3 ქალთა გიმნაზიის შენობაში (ბებუთოვის ქ.) მე 3 სამილიციო უბნის ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი აწყობს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქალაქო არჩევნები და მიმდინარე მომენტი". ლექციის შემდეგ შესდგება წევრთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ხარფუხის კლუბში ამხ. იოსებ ირემაშვილი წაიკითხავს ლექციას სოციალ დემოკრატიულ პროგრამაზე.

— დღეს, დილის 8 საათზე, ბებუთოვის აბანოს შენობაში დანიშნულია აბანოებში მომუშავეთა კრება. დღის წესრიგი: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2) პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარის მოხსენება; 3) მიმდინარე კითხვები. პროფესიონალური კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს ნუ დაიაგვიანებენ.

— დღეს, სად. 7 საათზე, ეპარქიულ სასწავლებელში დანიშნულია მე-10 საარჩევნო უბნის ამრჩეველთა კრება. ამხ. ალ. ლომთათიძე ქართულად წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქალაქო არჩევნები და სოც.-დემოკრატია". ვთხოვთ ყველა ამრჩეველთ არ დააკლდენ ამ ლექციას.

— დღეს, საღამოს 5 ს., ტ. რამინოვის ბაღში დანიშნულია თფილისში მცხოვრებ ოსების მორიგი სხდომა. განხილულია საკითხი, თუ როგორ მიაწყონ ოსთა შორის საარჩევნო კამპანია.

— დღეს, დილის 9 ს., სახელოსნო კლუბში დანიშნულია მხატვარ-მღებავთა კრება. მოწვეულნი არიან პროპაგანდისტთა კოლეგიიდან აგიტატორები. გასარჩევია აგრეთვე სხვადასხვა კითხვები. მხატვარ მღებავთა პროფესიონალურ კავშირს განზრახული აქვს ყოველ კვირას მოაწყოს ასეთი კრებები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მე-2 კომერციულ სასწავლებლის შენობაში რ. ს. დ. მ. პ. მე 8 რაიონის ბიურო იწვევს საერთო კრებას. ლექციას წაიკითხავენ: ქართულად ამხ. ა. გვარჯალაძე, სომხურათ და რუსულათ ამხ. პ. [illegible].

— 17 ივლისს, საღამოს 6 ს. კუკიის საავათმყოფოს შენობაში (ჩერქეზოვის ქ. № 38) მე 4-რაიონის საუბნო ორგანიზაცია მართავს ლექციას შემდეგ თემაზე: „[illegible]". ვსთხოვთ მოქალაქეებს დაესწრონ ლექციას.

— 17 ივლისს დანიშნულია ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება. კრებაზე უნდა გამოცხადდენ ფულის ჩასაბარებლათ ის წევრები, რომლებსაც წაღებული აქვთ საწევრო წიგნაკები. ამავე კრებაზე მოხდება ახალ წევრთა ჩაწერა.

— ორშაბათს, საღამოს 7 საათ. მე 2 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის სახლში (მუხრანის ქ.) ამხ. იოსებ ირემაშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მიმდინარე მომენტი და დამფუძნებელი კრება".

პროვინციის ქრონიკა.

დ. ხაშური. 10 ივლისს მესამედ დააპატიმრეს აქ გიგუცა ძნელაძე და გორის კომისარიატის განკარგულებაში გაჰგზავნეს. ხაშურის რაიონის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა—თავის მორიგ კრებაზე 12 ივლისს გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალითაც ძნელაძე საქმის გამორკვევამდე დაპატიმრებულ იქნეს გორის სატუსაღოში.

— სად. მიხაილოვის 1 კლასის [illegible] მუშა მოსამსახურეებმა დიმიტრი მორჩილაძემ, ერმილე რიჟამ, ამბროსი ძნელაძემ და ბიქტორ თოფურიამ შეაგროვეს თავიანთ შორის 40 მან. და შესწირეს ხაშურის სარაიონო სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციას.

— ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას ხაშურის პოლიტიკური კლუბი.

— ხაშურის სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციასთან მოწყობილი პროპაგანდისტთა კურსების საქმე კარგათ მიდის, მსმენელებიც და ლექტორებიც სინიდისიერათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მსმენელები კვირაობით სოფლებში მიდიან.

— სოც. დემოკ. ორგანიზაციის ინიციატორობით 8 ივლისს გაიმართა ხაშურში ფრიად შინაარსიანი ინტერნაციონალური საღამო ორგანიზაციისავე სასარგებლოთ. პროგრამა ასეთი იყო: 1) „მაღაროს უფროსი მუშა" დრ. I მოქ. და კომედია „დედის ერთა"; 2) დივერტისმენტი; 3) კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს: ქ.ქ. თ. აფხაზიშვილისამ, ნ. ყაჰეიშვილისამ და ქეთო კალანძემ; ბ.ბ. დ. ლეჟავამ, ა. პუმბურიძემ, ბ. სერდიუკოვმა და ქ. ეკატერინე სერდიუკოვისამ (კონცერტში); პიესებში: ალ. კორძაიამ, მ. პყონიამ, მ. კვალიაშვილმა, ნ. სიხარულიძემ, ვ. ცომაიამ და ნ. თევდორაშვილმა. შემოსავალი 600 მანეთს აღემატებოდა.

ს. მაიდანი (ზემო რაჭა). 11 მაისს მოგროვდნენ მაიდნელი ახალგაზრდები. განიზრახეს დაეარსებინათ ს. მაიდანში ბიბლიოთეკა, ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე. ყველანი სიამოვნებით შეხვდნენ ამ წინადადებას და დაადგინეს შემდეგი: ს. მაიდანში გაიხსნას სამკითხველო ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე. ამ საქმის მოსაგვარებლათ საზოგადოებამ აირჩია სამკითხველოს გამგეობის წევრებათ სამი კაცი.

საწევრო გადასახადი იქმნა მიღებული 50 კაპ. გაიხსნა წევრთა ჩაწერა, ჩაეწერა ამ კრებაზე 50 წევრი.

სამკითხველოსათვის შენობა უკვე შევიძინეთ და მოვათავსეთ სოფლის ეკლესიის გალავანში.

შენობის შეკეთება და სხვა საჭირო ნივთების შეძენა დაევალა გამგეობის წევრთ. გაზეთები შემოსწირეს სამკითხველოს „სოციალ-დემოკრატი" ლ. ბუკიანიშვილმა, „ხალხის თავისუფლება" ე. ბუკიანიშვილმა, „ერთობა" ქ. დ.

ვ. ბურცევის წერილის გამო.

„რუსკაია ვოლია"-ში ამას წინათ წერილი იყო მოთავსებული. წერილს თან ახლდა სია, სადაც ჩამოთვლილი იყო ზოგიერთი ცნობილი სოციალისტები, თითქოს მათ პარვუსის საშუალებით კავშირი ჰქონოდეთ გერმანიის მთავრობასთან. სხვათა შორის ბურცევის წერილში ნახსენები იყო მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი ამხ. ა. ზურაბოვი, ტროცკი, რუმინელი სოც.-დემოკრატი კ. რაკოვსკი და სხ. გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ამხ. ა. ზურაბოვის წერილი, სადაც ასეთ ბრალდებას ის უარყოფს. რვა ივლისის „რუსკაია ვოლია"-ში დაბეჭდილია ქ. რაკოვსკისა და ლ. ტროცკის წერილები, სადაც ისინი უარყოფენ მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას. სხვათა შორის, ლ. ტროცკი სწერს: „პარვუსმა სამეცნიერო ინსტიტუტი დაარსა, სადაც სამუშაოთ მიიწვია სოციალისტები. მე გაზეთების საშუალებით ვურჩიე სოციალისტებს თავი შეეკავებინათ ამ ინსტიტუტში მუშაობაზე, რათა გარეგნული ცილისწამების მასალა არ შექმნილიყო ისეთი უმწიკვლო ადამიანების წინააღმდეგ, როგორიც არიან [illegible] და ზურაბოვი".

ბოლშევიკების „იდეური" ბრძოლა.

გუშინდელ „კავკაზსკი რაბოჩი"-ში მოთავსებულია ს. კ. წერილი შემდეგის სათაურით: „პასუხი ცილისმწამებლებს". მოგვყავს წერილის ის ადგილი, რომელიც ჩვენ შეგვეხება. ს. კ. სწერს:

„...ეს კალმით ხელში ავაზაკების და თავში [illegible] აზრების მქონეთა ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა; ეს ხალხი მენშევიკ-ობორონცებისა და ესერების მხნე დახმარებით ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულა.

დიახ, ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა თავიანთი თავის შეურაცხყოფით და გასაოცარ [illegible] მხარი დაუჭირეს ამ საზიზღარ და არამზადულ ბრალდებას. საოლქო კომიტეტის ორგანო „ერთობა" სიამოვნებისაგან ჰკრთის, ხითხითით და ხელების ფშვნეტით ურცხვათ და აშკარათ ჩადგა ბურჟუაზიულ რეაქციის პრესის რიგში და ჩვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლათ ხალხს მოუწოდა.

ახლა თქვენ, ბატონო მენშევიკებო, საბოლოოთ გატიტვლდით, ნიღაბი ჩამოიხადეთ. თქვენ ხელი გაუწოდეთ და ჩამოართვით კიდეც ბურჟუაზიულ ხულიგნებს, რომლებიც თავიანთ გაზეთებში პროვოკაციულსა და დასარბევ ცილისწამებას აწარმოებენ. თქვენ მეტის გულმოდგინეობით მათ წინაც კი გაუსწარით. თქვენ კატეგორიული და უპირობო ფორმით განაცხადეთ, რომ „ბოლშევიკები" გამცემნი და მოღალატენი არიან, რომ ისინი გერმანიის შტაბის აგენტები და კომისარები არიან.

ამ უსაძაგლესი და ფლიდური ცილის წამებისათვის თქვენ პასუხის გებაში იქნებით მიცემული სასამართლოს წესით, ჯერ ჯერობით კი, თქვენს სპილენძის შუბლს შევამკობთ არამზადის (НЕГОДЯЙ) დაღით.

თქვენ თქვენი ახალ ნაგები იპოვეთ, განაგრძეთ მათთან სასირცხო და გარყვნილების გზით სიარული. მუშებო და ჯარისკაცებო! ზურგი აქციეთ ზიზღით ამ ცილისმწამებლებს და [illegible]; ისინი ღირსნი არიან მხოლოდ თქვენი ზიზღისა... ის ტალახიანი ტალღა, რომელიც ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე გაჩნდა მენშევიკების გაზეთ „ერთობამ" ჩაგორდა და ამხ. ზურაბოვი მენშევიკ—ინტერნაციონალისტი ზურაბოვი გათითხნა. მენშევიკებმა ობორონცებმა, რომლებიც ბურჟუაზიის მიჰყვებიან დანაშაულის ჩადენაშიაც კი, ბურცევის ცილისწამება ფაქტათ მიიღეს და ამხანაგი ზურაბოვი თავიანთი წრიდან განდევნეს. როგორც ხედავთ, როცა ასე სურს ბურჟუაზიას, მენშევიკები თავიანთ ამხანაგებსაც არ იბრალებენ. ჩვენ ვაცხადებთ: ამხ. ზურაბოვის პოლიტიკურ სისპეტაკეში და უმწიკვლობაში დარწმუნებული ვართ. დეე, ამხ. ზურაბოვი ნუ ეძიებს თავდაცვას ობორონცების წრეში, რომელიც იხრწნება, არამედ მომართოს ჩვენს წრეს—ინტერნაციონალისტებს".

კომენტარიები ზედმეტია.

სპარსეთის გარშემო.

(გაგრძელება).

ომის დროს სპარსეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ფაქტიურად მისი ნეიტრალიტეტი დარღვეული იყო რუსეთ-ინგლისის მიერ. ის წინააღმდეგ თავის სურვილისა დახმარებას უწევდა იმათ სანოვაგით და გამოსაკვებ მასალის მიწოდების სახით. მას სხვა საშუალება არ ჰქონდა, ვინაიდან პატრონები სახლში უჯდა. გერმანიის გამარჯვებამ მათი სიმპატია გადახარა მოწინააღმდეგებისაკენ. ამას თვით მდგომარეობა იწვევდა. თუ გერმანია სპარსეთის ფრონტზე სწრაფი ნაბიჯით წავიდოდა წინ, სპარსეთის გაბატონებული ნაწილის მიერ საჭირო იყო პოლიტიკის შეცვლა რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ, ვინაიდან მას ცუდი დღე მოელოდა გერმანიის გამარჯვებით. ამიტომ დიდი ნაწილი ფარულად გადახარა გერმანოფილებისკენ. ხალხის—მასის სიმპატია აშკარათ გერმანია-ოსმალეთის მხარეზე იყო. ამას ერთი მხრით მას ავალებდა ოსმალეთთან სარწმუნოებრივი ერთობა და მეორედ თავიანთი რწმენით გერმანიის მთავრობა განთავისუფლებდა იმ აუტანელი პირობებისაგან, რომელშიდაც ისინი რუსის მოხელეებმა ჩააგდო. ამგვარად შეიქმნა მდგომარეობა; ერთი მაგარი შემოტევა კიდევ და სპარსეთი აშკარათ აჯანყდებოდა; ის ზურგიდან დაეცემოდა რუსის ჯარს, მაგრამ ომის მსვლელობამ მდგომარეობა შესცვალა; კავკასიის ფრონტზე საზოგადოთ და სპარსეთის ფრონტზე კერძოთ, მტერს უკან დაახევიეს და ამან კი შესცვალა სპარსეთის რეჟიმიც. რამდენად მდგომარეობა გერმანოფილებისკენ იხრებოდა, იმდენად ძლიერდებოდა რეპრესიები ელჩების მხრივ. თუ როგორ თვითნებობდნენ ამ ომის განმავლობაში რუსის მთავრობის დაყენებული პირები, საილუსტრაციოთ მოვიყვან შემდეგ მაგალითებს: ომის საჭიროებისათვის სპარსეთი რუსეთს აძლევდა ოთხ-ფეხ საქონელს, პურს და სხვა გამოსაკვებ საშუალებას, ამის მოკრებაში მათივე მარჯვენა ხელი გუბერნატორები ეხმარებოდნენ; ეს გუბერნატორები გავლენიან ხანებისაგან ინიშნებოდნენ; ამათ დასახასიათებლათ ავიღებ ურმიის გენერალ-გუბერნატორს ეტიმად დოულეს; ეს უპასუხისმგებლო, უგვირგვინო მეფე იმყოფებოდა რა რუსის მთავრობის მფარველობის ქვეშ, შემდეგ ხრიკებს ხმარობდა თავისი ჯიბის გასასქელებლათ: რუსის მთავრობა თუ 3000 სულ საქონელს თხოულობდა, ის ხუთი ათასს აგროვებდა ხალხისაგან და ზედმეტს თავის სასარგებლოთ ყიდდა, ასევე იქცეოდა პურის მოკრების საქმეში. სხვათა შორის რუსის ფულის ფასს ხელოვნურათ სწევდა, მაგალითად მანეთი თუ 6 შაური ღირდა, ის 9—10 შაურამდე სწევდა. ამ დროს კი რუსის ფულს ათი ათასობით მანეთებისას ახურდავებდა და ჯიბეებს ივსებდა. ეს ყველაფერი იცოდა რუსის მთავრობამ; ვინაიდან ის დახმარებას უწევდა მოგროვების საქმეში, ამის გარდა არას დაეძებდა. პირიქით, ასეთებს ხელსაც უწყობდა. მაგალითად ყველასათვის ცხადი იყო თუ რას სჩადიოდა მთელი ადერბეიჯანის უფროსი სარდარ რაშიდი. ის თავისი დამქაშებით თავისუფლათ დანავარდობდა ხალხის ზურგზე. მრავალჯერ მოინდომა ხალხმა მისი დაჭერა და ამ ადგილს მოცილება, მაგრამ ვერას გახდა, ვინაიდან ერთი მხრივ თავს რუსის მთავრობას აფარებდა მეორე მხრივ გავლენიან ხანებს ქრთამავდა. ამგვარ ქრთამში 70 ათასი თუმანი აქვს დახარჯული, რაც ჩვენი ფულით უდრის 560 000 მანეთს.

აი თუ რა სიმძიმით აწვა თავს სპარსეთის საბრალო ხალხს უპასუხისმგებლო, რუსის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფი მოხელეები. რევოლუციამ მდგომარეობა შესცვალა.

რუსეთის ხალხთან ერთად თავისუფლად ამოისუნთქა სპარსეთის დამონებულმა ხალხმაც. მას დიდი იმედი დაესახა შექმნილი ჯოჯოხეთური პირობებისაგან თავის დაღწევისა. დემოკრატიული პარტიები, რომლებიც წარსულში ხელმძღვანელობდნენ სპარსეთის რევოლუციას, ზეზე წამოდგნენ. უმნიშვნელო არ იქნება ჩვენი მკითხველები გაეცნონ მოკლეთ ამ პარტიებს, მათ პროგრამას და მოღვაწეობას. ყველაზე უფრო გავლენიანი მოპოებული და მომქმედი პარტია არის ეგრეთ წოდებული: „სპარსეთის დემოკრატიული პარტია"; ის დაახლოვებით 1906-7 წლებში დაარსდა და მთავარი ხელმძღვანელი იყო სპარსეთის რევოლუციების. „ცენტრალური" კომიტეტი არსებობდა ქალაქ თეირანში. მათი პროგრამა შემდეგ ლიბერალურ მუხლებში გამოიხატება: 1) გლეხთა განთავისუფლება ბატონ ყმობისაგან, 2) დაარსება კონსტიტუციონური მონარქიისა, 3) პასუხის მგებელი სამინისტრო, 4) თუ შესაძლებელი დარჩა რესპუბლიკანური მართველობა, 5) გამოყოფა საკანონმდებლო ინსტიტუტისა სამოსამართლოსაგან, 6) სარწმუნოების საქმის გამოყოფა სახელ., 7) საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლება, 8) ათი საათის სამუშაო დღე, 9) მუდმივი ჯარის ყოლა და სხვა. არსებობს მეორე ეგრეთ წოდებული „მუთარაქიუნ-ირანიანთა" პარტია. ის დიდი ხანი არაა რაც დაარსდა. უფრო რევოლუციონურია; ჯერ მცირე რიცხოვანია. არის სხვა დემოკრატიული პარტიებიც. ეგენი ყველანი შეერთდნენ და სამოქმედოთ მიემზადნენ. პირველი მათი ნაბიჯი ვერ იყო გაბედული. მიზეზი ამისა ის იყო, რომ არ იყვნენ პირველად დარწმუნებული რუსეთის ჯარის მიერ მხარის დაჭერაში. აი, ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშეს ჯარისკაცთა საბჭოებმა, რომლებიც სოციალისტური იყვნენ თავისი შემადგენლობით. გაიმართა ამათშორის მოლაპარაკება, რის შედეგიც შეიქნა კავშირის შეკვრა ერთად სამოქმედოთ. რომ ის სიძულვილი და დაუნდობლობა რომელსაც საძირკველი ძველმა მთავრობამ ჩაუყარა, სამუდამოთ მოვსპოთ, აღმასრულებელი კომიტეტები დემოკრატიულ პარტიებთან შეთანხმებით მართავენ მანიფესტაციებს, რომელშიაც ჯართან ერთად მონაწილეობას ღებულობს ასიათასობით სპარსეთის დემოკრატია. რევოლუციონურმა სიტყვებმა რევოლუც. ჯარისამ შესცვალა მდგომარეობა და გაბა ძმური კავშირი. ალვირ წახსნილ მოქმედებებს ძველი რუსეთის ელჩებისას ბოლო მოეღო. იმათგან ზოგი დაატყვევეს, ზოგი კი დაუყონებლივ ადგილს მოაცილეს და პასუხის გებაში მისცეს. ფაქტიურად საგარეო პოლიტიკაც აღმასრულებელი კომიტეტის ხელში გადავიდა. უკანასკნელისთვის ძლიერ რთული საკითხი დაისვა პირველ ხანებში. თუ აშკარად რევოლუციონურ დემოკრატიას ამოუდგებოდა გვერდში, მაშინ რუსის ჯარის გამოკვების საკითხი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ვინაიდან სასურსათო მასალის მომწოდებელი ძველი მოხელეები თავის ადგილას იყვნენ. ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდა ყოველ მხრივ აღმასრულებელი კომიტეტი. სხვათა შორის ზევით აღნიშნული ურმიის გენერალ გუბერნატორი,—ეტიმად დოულე ხალხმა დაიჭირა და მოინდომა თვით გასამართლება. ეს არა ერთჯერ მოუნდომებია წინად ხალხს, მაგრამ ვერ აზერხებდენ, ვინაიდან რუსის მთავრობა მფარველად ევლინებოდა. რევოლუციონური ჯარის ასეთ პირისადმი მხარის დაჭერა სცემდა ერთი მხრივ მის სახელს ხალხისა და პარტიების თვალში, მეორე მხრივ კი არ გამოსარჩლება უკმაყოფილებას იწვევდა ძველ მოხელეებში, რომელთაც მთელი ფრონტი შეეძლოთ საშიშ მდგომარეობაში ჩაეგდო სასურსათო მასალის არ მიწოდებით. რა გზისთვის უნდა მიემართა აღმასრულებელ კომიტეტს?—გაძნობით აღშფოთებულ ხალხს უნდა ეტიმად-დოულე მოეკლა; სპარსეთის მთავრობას რუსეთის დახმარებით ის თეირანში უნდა გაეპაროს და სიკვდილს გადაარჩინოს! ამის შემდეგ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგ საშუალებას მიმართა: გაუსამართლებლად სიკვდილს წინ აღუდგა, რომ სახელი სპარსეთის თვალში არ დაცემულიყო, თეირანში გაგზავნასაც წინ აღუდგა; დემოკრატიულ პარტიებთან შეთანხმდა რომ ის გასამართლებიათ თეირანში; სასამართლოს, რომელიც ამ დღეებში უნდა მოხდეს დაესწრება აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წარმომადგენელი. ასეთი უხერხული მდგომარეობა შეიქნა პირველ ხანებში. საჭირო იყო რადიკალური ზომა, რომ კომიტეტს ორ სკამზე ჯდომა არ დასჭირებოდა. ამ მხრივ ნაბიჯი სპარსეთის დემოკრატიულმა პარტიებმა, დაიმედებულმა აღმასრულებელი კომიტეტის მხარის დაჭერით, ამ დღეებში გადადგა კიდეც: მთელი ადერბეიჯანის მოხელეები დაწყებული ადერბეიჯანის უფროსის სარდარრაშიდიდან ყველანი გადააყენა და თავისი კაცები დანიშნა. ამის შემდეგ მოხდა ქ. თავრიზში, ამ მათი მეორე სატახტო ქალაქის, თვითმართველობის არჩევნები: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, რაშიდაც მონაწილეობა მიიღო ყველა მამაკაცებმა 25 წლის ზევით. გარდა ამისა აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით დაარსდა საგანგებო რევოლუციონური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც დაწყებულ რევოლუციას საჭირო პროცესით ქვეყნის სრულ განახლებამდე მიიყვანს. ჯერ საქმე უსისხლოთ კეთდება, ვინაიდან რევოლუციონურ პარტიებს, უზრუნველყოფილს რევოლუციონური ჯარის მიერ, წინააღმდეგობას ვერავინ უწევს. სპარსელთა ის ბრიგადა, რომელიც მთავრობას ამ დროისთვის უნდა გამოეყენებია, ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტის სურვილს ვერ ეწინააღმდეგება, მით უფრო, რომ ბრიგადის ხელმძღვანელი აფიცრები და ინსტრუქტორები ყველა რუსებია, რომლებიც კომიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ამ გვარად, როგორც ვხედავთ, რუსეთის რევოლუციამ ერთბაშად შეარყია ძველი რუსეთის მიერ საფუძვლიანად მომაგრებული სპარსეთის სისხლის მწოველ სატრაპთა ბატონობა და ქვეყანა სრულ განახლების გზას დააყენა. ეჭვი არ არის ხალხი, რევოლუციონური ჯარის დახმარებით, გასწყვეტს ფეოდალთა რკინის ბორკილებს და მთელი ქვეყანა ცივილიზაციის გზას დაადგება.

რაფიელ აცნელი.

ბორჯომის რაიონი.

ოქმი.

9 ივლისს, 1917 წელს მოხდა სხდომა ბორჯომის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტისა. დაესწრნენ: ნასიძე, პისკუნოვი, ხუციევი, პავლოვი, ლალიევი, ბრუნოვსკი, გოლოვინი, გიგილაშვილი, ა. გეოშვილი, მიქელაძე, კოზაშვილი და კავკასიის სატყეო ცენტრის წარმომადგენლები: ავრალოვი, გელიაშვილი და გედევანიშვილი. იქონიეს მსჯელობა ბორჯომის ტყის გადაჩეხვის შესახებ და დაადგინეს შემდეგი: მანამდე, სანამ გადაწყვეტდეს დამფუძნებელ კრების მიერ საკითხი ტყის საკუთრების შესახებ, სასტიკათ აიკრძალოს ტყის გაჩეხვა. მოიჭრება მხოლოდ ის ხეები, რომლებიც ტყის მეურნეობის პლანის მიხედვით:

1) ტყის მეურნეობაში წესრიგის დასამყარებლათ და რაციონალურათ ტყის დასამუშავებლათ არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება ადგილობრივი რევოლუციონური ორგანოების წარმომადგენლებისაგან, კავკასიის სატყეო ცენტრის წარმომადგენლებისაგან და სპეციალისტებისაგან, რომლებიც დაინიშნება ცენტრის მიერ.

2) კომისიამ უნდა გამოარკვიოს რიცხვი, როგორც მოჭრილი, აგრეთვე გამოტანილი და გასაგზავნათ გამზადებული ხეებისა, გამოარკვიოს საფასური, რომელიც ეკუთვნის გლეხს სამართლიანი დაფასებით ტყის დამუშავებაში დახარჯული შრომისთვის და აგრეთვე გამოარკვიოს ის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის ხალხს, როგორც პატრონს ბორჯომის მამულისა.

3) და ყველა ამაების სისრულეში მოყვანამდე აიკრძალოს გამოტანა და გაყიდვა დამზადებული მასალისა და ახლის დამზადებაც. ის მუშები, რომლებსაც მოუჭრიათ ხეები განსაზღვრულ რიცხვს ზევით, კარგავენ უფლებას მიიღონ საფასური ზედმეტი მასალის დამზადებაში. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს ევალება კომისიის გადაწყვეტილებით გაარკვიოს ყოველივე მოქმედება ტყის დაცვის საკითხში და აგრეთვე საჩივარი მცველებზე და წარუდგინოს კავკასიის გლეხთა დეპუტატების ცენტრს დამნაშავეთა დასათხოვათ. („სოფლის მუშა")

თავმჯდ. ნ. ნასიძე, მდივანი პ. ხუციევი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ქვარცხანა.

4 ივლისს შესდგა ადგილობრივ სპილენძის ჩამ. ქარხნისა და მაღაროების მუშათა ს. დ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. დ. ს. გოგუნავა, მდივნათ თავაძე.

მოხსენებას კითხულობს ბათუმიდან მოსული ამხ. სტეფანოვი და შემდეგ ლაპარაკობს დღევანდელ მომენტზე. შემდეგ აირჩიეს პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ამხ. დ. ს. გოგუნავა, მის ამხანაგათ პ. ელევტეროვი და ვ. ხამიტოვი, მდივნათ ამხ. მ. ხ. ცერცვაძე, მის ამხანაგათ ხ. დარჩია, ხაზინადრათ ის. ვაჩეიშვილი და ლიტერატურის გამავრცელებლათ არ. კაკაბაძე და ვას. თავაძე.

საწევრო ფულების შესახებ დაადგინეს; თითოეული წევრისაგან ბათუმის მთავარ კომიტეტში იგზავნებოდეს აბაზი, ორი შაური იქვე დარჩება და ორიც უნდა გაეგზავნოს კავკასიის მთავარ კომიტეტში. დაასრულა ლაპარაკი მომენტზე ამხ. გოგუნავამ და კრება დაიხურა ღამის პირველ საათზე.

ვას. ფელიაშვილი.

ს. წითელ მთა (გური.)

შაბათს 1 ივლისს მოხდა რ. ს. დ. მ. პ. წითელმთის ორგანიზაციის წევრთა კრება, თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ნესტორ ერქომაიშვილი, ხოლო მდივნათ სიმონ შალიკაძე, გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: დელეგატ ამხ. ა. შალიკაძის მოხსენება ამიერ-კავკასიის ს. დ. კონფერენციის შესახებ, გურიის კომიტეტის და შემოქმედის რაიონის კოლექტივის მოხსენებები, წევრთა მიღება და სხვა. პირველათ მიიღეს ახალი წევრები. შემდეგ ვრცელი მოხსენება კონფერენციის შესახებ წაიკითხა ამხ. ა. შალიკაძემ, კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრარულ საკითხს. კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მოხსენება წაკითხულ იქნას ცალკე კრებაზე. ამის შემდეგ კოლექტივის და გურიის კომიტეტის კრებების შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. შ.

ს. შალიკაძე.

თფილისი.

10 ივლისს შესდგა საერთო კრება პარტიის წევრებისა მეოთხე ს. დ. რაიონისა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ავშტროვი, მდივნ. ემ. ლომთათიძე. კრებამ აირჩია წარმომადგენლებათ თფილისის ს. დ. კომიტეტში ჩიხლაძე რ., ჩიჩუა ზ., ელიავა ს., ათაბეგოვი (ხარფუხელი). სარევიზიო კომისიაში ქლენტი ვ., აკოპჯანოვი, იაკიმოვი, ლანგე, კარტოჯანოვი. კრება განსაკუთრებული თანაგრძნობით ღებულობს განცხადებას ამხ. ავშტროვის ერთი დღის შემოსავლის გადადების შესახებ ყველა ამხანაგების მიერ ქალაქის თვითმართველობაში საარჩევნო კომპანიის საწარმოებლათ. კრება ადგენს მეოთხე რაიონი გაიყოს ორ რაიონათ: პირველ რაიონში შევლენ 1, 2 და 3 სამილიციო ნაწილი, მეორე კი 4 და 5 სამილიციო ნაწილი.

დ. ჩოხატაური (გურია).

17 ივნისს აქ დაარსდა დ. ჩოხატაურის რ. ს. დემ. მ. პ. ახალგაზრდათა ორგანიზაცია. ორგანიზაციაში ჩაეწერა 52 წევრი. წრე დაიყო და ოთხ ჯგუფათ მეცადინეობა დაიწყო.

ხ. ჯინჭარაძე.

თფ. საქ. სადგური.

11 ივლისს საღ. 6 საათ. თფილ. საქონლ. სადგურის მუშების პარტიული ამხანაგების კრება მოხდა ნაძალადევის თეატრში. თავმჯდომარეთ აირჩიეს დ. ქლენტი. გ. ცინცაძის მოხსენების შემდეგ თანახმად პირვ. რაიონ. კოლექტივის გადაწყვეტილებისა, კრებამ საჭიროთ სცნო დაარსებულ იქნეს მუშათა კლუბი პირვ. რაიონში და დროებით ამ მიზნისათვის გადაკეთებულ იქნას ნაძალადევის თეატრი.

გამოეცხადოს კონტრ რევოლიუციის ჩაქოლვისთვის და მოუწოდონ ყველას სასტიკათ თვალყური ადევნონ კონტრ-რევოლიუციონერებს.

— როგორც ცინცაძის მოხსენებიდან გამოირკვა ადგილობრივ კომიტეტს დიდი მოვალეობა და რთული საქმე აწევს. ამიტომ ადგ. კომიტეტი უნდა მოქმედებდეს პარტიის დირექტივების მიხედვით.

— კრებამ მიიღო მხედველობაში დღევანდელი სიძვირე და საჭიროთ სცნო ეხლავე გაიხსნას იაფფასიანი სასადილო, აირჩიეს კომისია.

— კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ ზოგიერთები ხშირათ არ ესწრებიან კრებას, ამიტომ ისინი, ვინც სისტემატიურათ უმიზეზოთ არ მოდიან კრებაზე და არ შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას—გაირიცხებიან პარტიიდან.

გან—ცან.

ძ. ხნის-ქალა.

აქ შესდგა სოც. დემოკ. ორგანიზაცია. აირჩიეს საორგანიზაციო ბიურო ხუთი კაცისაგან შემდგარი, მურღულია, ივანე ცეცხლაძე, მ. მეელაძე, პ. პინტურია და ხოხაძე. კანდიდატებათ: გოცირეიშვილი და ალექსანდრე ინგოროყვა. სამწუხაროთ ამ არჩეულებმა ჯერ ჯერობით ვერაფერი უნარი ვერ გამოიჩინეს. ჯერ არც ერთი კრება არ მოხდარა და არც არაფერი გაკეთებულა. საჭიროა არჩეულებმა თავისი მოვალეობა პირნათლათ შეასრულონ.

მალ. ფარულავა.

ხ. ხუნწი (სამეგრელო).

6 ივლისს აქ შესდგა სუხჩე ზედა-ხუნწის პარტიის წევრების შეერთებული კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ ამხ. ოლიფანტე ჰოლოკავა, მდივ. პორფილე ჰოლოკავა.

კრებას მიესალმა ამიერ კავკასიის ს. დ. პ. ყრილობის სახელით ამხ. კაკო ჩიქოვანი. მან კრებას რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა გააცნო. შემდეგ ილაპარაკეს ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.

გაღმა ხუნწი საგრძნობლად დაშორებულია სუხჩეზე, ამისათვის გაღმა ხუნწი გამოყვეს ცალკე. ს. სუხჩი და ზედა ხუნწისთვის ერთი ს. დ. ორგანიზაცია მოეწყო. ორგანიზაციაში აირჩიეს: ელიზბარ ღვაბერიძე, ფილიპე ურთქმელიძე, მესა ღვაბერიძე, ანდრო ფულია, პორფილე ჰოლოკავა, ნესტორ ცაავა, იაკობ გაბოკაძე, რაჟდენ ფაილოძე, სამსონ ძიძიგური და ანდრია ჩიქვანი. ამ კოლექტივს დავალა წევრად მიიღონ საიმედო პირები.

პ ჰ.

მუშათა ცხოვრება

თფილისი. ამხანაგების საყურადღებოთ, სასტუმრო „ვეტცელის" შესახებ. როცა ხელზე მოსამსახურეთა ბიურომ გადასწყვიტა 28 ივნისიდან საერთო გაფიცვა მოეხდინა, ჩვენც სასტუმრო „ვეტცელის" ხელზე მოსამსახურეებმა მოვიწვიეთ კრება. კრებამ აირჩია სამი კაცი და დავალა მოეთხოვნა სასტუმროს პატრონისაგან დაკმაყოფილება იმ მუხლების, რომელიც არ გვქონდა დაკმაყოფილებული: 1) საჭმელის გაუმჯობესება, 2) ჭურჭლის გამორეცხის ჯამაგირის მიცემა (რომელსაც დღემდე ხელზე მოსამსახურენი აძლევენ), 3) ჩაი, შაქარი და სხვ. როცა მივეწოდებოდით სამუშაოთ ზემო ჩამოთვლილი მუხლები უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული.

3 ივლისს, დილით გადაწყდა რესტორნებში და სასადილოებში მომუშავეებს უნდა დაეწყოთ მუშაობა. ჩვენ სასტუმრო „ვეტცელის" მოსამსახურეებმა სასტუმროს წინ მოვიყარეთ თავი და გადავწყვიტეთ არჩეული პირების მიგზავნა სასტუმროს პატრონთან და გაგება გვეკმაყოფილებდა თუ არა. მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდნენ იაგორ გიორგაძე და იოსებ მახარაძე, რომლებმაც მიმართეს მუშებს ეხლა მაგის დრო არ არისო. აგრეთვე ზოგიერთებმა გაიკეთეს წინსაფარი და მუშაობა დაიწყეს. ამ დროს მობრძანდა სასტუმროს პატრონი ბ-ნი ნოე სიხარულიძე და გადახედა მუშებს. რაკი შეატყო მუშებში არეულ-დარევა სიხარულით ცას ეწეოდა. ამ დროს წარუდგა ჩვენგან არჩეული სამი კაცი და მოსთხოვეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ პასუხად მიიღეს: მე თქვენ უნდა გიკარნახოთ და არა თქვენ მეო.

იმედია ამხანაგები შესაფერისათ დააფასებენ ამ გარემოებას.

ეფ. მუღელი.

—

ქ. ახალ-სენაკი. სენაკის ხაზინის დაბალი მოსამსახურეებიც საერთო ფერხულს არ ჩამორჩნენ და თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას შეუდგნენ. პირველ რიგში დააყენეს გაძევება თავისი შემადგენლობიდან იმ უფროსებისა, რომელნიც ამ უკანასკნელთ სტანჯავდენ. ასეთ პიროვნებად იქნა ცნობილი ხაზინადარი ქადუ, რომლის წინააღმდეგ, თანახმად ხაზინის და ბანკის მომკრეფ ინსპექტორის სამმართველოს მოსამსახურეთა საერთო ყრილობის დადგენილებისა აღძრულ იქნა საკითხი ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის და ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და სოხუმის ოლქების ხაზინების მოსამსახურეთა კავშირის წინაშე.

ქადუს წარსულის აღწერას ჩვენ აქ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის ერთგული ლაქუჯი იყო ძველი წეს-წყობილების, დღესაც მისი მოტრფიალეა. მიუხედავათ იმისა, რომ ქადუს ბევრი კარგათ იცნობდა და მისი გაძევება მოსალოდნელი იყო, მაგრამ გაძევების მაგიერ თფილისის კომისარიატის მიერ ზემო აღნიშნული ქადუა დანიშნულ იქნა უმაღლეს ადგილზე ქუთაისის ხაზინაში. კომისარიატი ამ შემთხვევაში შეცდომაში შეიყვანა ქუთაისის პალატის უფროსმა, რომელმაც ყველა ეს კარგათ იცოდა, მაგრამ დამალა, რომ ქადუა დაუჯილდოვებია ძველი რეჟიმის ერთგულობისათვის უკანასკნელი ზომები მიიღო და კიდევაც მიზანს მიაღწია. მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის დაუკითხავათ ალმატება მიაცემინა. ამ ამბავმა უდიდესად აღელვა მოსამსახურენი. საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

სენაკელი.

—

ტფილისის მკერავთა პროფესიონალური კავშირი. ამ მოკლე დროში კავშირმა ბევრი რამ გააკეთა და წევრების მდგომარეობა გააუმჯობესა. ბევრგან მუშების ხელფასი გადიდდა, ზოგან კიდევ ნაჭრობით მომუშავენი თვიურათ ჩადგნენ. თვიური მუშაობა რვა საათის სამუშაო დღე იქნა შემოღებული, ავათმყოფობის დროს ხაზეინი ვალდებულია თვე ნახევრის ჯამაგირი მისცეს, წელიწადში ერთი თვე დასვენება ჯამაგირის შენახვით, შეგირდებს დღეში ათ-ათი შაური ეძლევათ პურის ფულათ. ვისაც ერთ წელიწადზე მეტი უმუშავნია, უნდა ზედმეტი მიეცეს 5 მანეთი. ჯამაგირები მოემატა: ვისაც ეძლეოდა შვიდი თუმანი თვეში, იმათ ემატება 30 პროც., ვინც შვიდ თუმანზე მეტს იღებდა იმას ემატება 20 პროც.; ხაზეინისაგან უმიზეზოთ დათხოვნილ მუშას, ან-და ხაზეინმა თუ დაჰკეტა ქარხანა მუშას ეძლევა სამი თვის ჯამაგირი; მუშების მიღება და დათხოვნა ევალება მუშებს და ხაზეინებს შეთანხმებით და სხვა. ასე, რომ შეკავშირებამ ბევრათ შესცვალა ჩვენი მდგომარეობა.

პავლე ც.

პროვინციის ცხოვრება.

ურმია. (წერილი სპარსეთიდან). ამ ბოლო დროს სპარსეთში დამოკიდებულება მეტათ გამწვავდა რუსეთის ფულის კურსის დაცემა დიდ უწესოებებს იწვევს ჯარში. მართალია, რუსეთის ფული ამ ბოლო დროს ჩალის ფასათ გახდა, მანეთიანის კურსი 6 კაპეიკია, მაგრამ აქ სპარსეთის ხალხი არაფერ შუაშია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რუსეთის ფულით ავსილი სპარსეთის ბაზარი, ხოლო მოთხოვნილება თითქმის სულ არ არის, თავ. სი ფულის კურსის აწევა ეს თვით სახელმწიფოზეა დამოკიდებული, თუ სახელმწიფოს სახელმწიფოსთან კარგი საქმეები მიმცემლი დამოკიდებულება აქვს, თუ ერთი სახელმწიფოს საქონელი მეორეში უხვად შედის და [illegible] ეჭვს გარეშეა, მაშინ ამ სახელმწიფოს ფულზეც მოთხოვნილება იზრდება. შემოტანილ საქონელს თავისივე ვალიუტით ყიდულობენ, ხოლო თუ სავაჭრო აღებ მიცემობა სუსტია—რა თქმა უნდა ფულის ღირებულებაც ნაკლებია. დღეს რას ვეზიდებით სპარსეთში? აქ რუსეთის არც ერთი ნაწარმოები არ შემოდის. ამ რიგათ რუსულ ფულის მოთხოვნილებაც რა თქმა უნდა თითქმის სულ არ არის. ღებულობენ ფულს, მაგრამ თვით არ იციან რა უნდა უყონ და სად გაასაღონ. ასეთ შემთხვევაში რასაკვირველია რუსეთის ფულს გულ-გრილათ უცქერიან, და დღეს თუ 6 კაპეიკათ ღებულობენ მანეთს, შეიძლება ხვალ პირდაპირ განაცხადონ: „რათ გვინდა ეგ თქვენი ქაღალდები, სულ არ მოგვიღებიათო". და არც არავითარი უფლება არ გვაქვს ზნეობრივათ, რომ ძალა დავატანოთ, ხოლო საჭიროა თვით სახელმწიფომ შეეცადოს, რადიკალური ზომები მიიღოს, რომ ფულის კურსი აღდგენილი იქნას. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთის ჯარი დღეს აქ ვერ იჭერს თავს ისე, როგორც ეს მას შეეფერება, ამას ცხადათ მოწმობს „ურმიის პოგრომი". 24 ივნისს საღამოს „კორპუსის კომიტეტმა" ცნობა მიიღო, რომ ჯარი „პოგრომისთვის" ემზადებაო. კომიტეტიდან მაშინვე წარმომადგენლები გაგზავნეს სხვადასხვა ნაწილებში, რომ ჯარი გაეფრთხილებინა ასეთი სამარცხვინო საქმე არ ჩაედინათ, მაგრამ არც ერთ ნაწილში ჯარის კაცები არ დაუხვდათ, ყველა უკვე გამოსული იყო „სანადიროთ". ამ დროს სროლა ატყდა „ჩვენი რევოლიუციონური ჯარი სროლით შევიდა ქალაქში", მილეწ-მოლეწეს ყველაფერი, რასაც წააწყდენ სულ გაიტაცეს, ხოლო რასაც ვერ მოერიენ ცეცხლი გაუჩინეს და მთელი ქალაქი გადასწვეს. ადამიანის მსხვერპლი არის თუ არა ჯერ არ ვიცით. აი რას სჩადის ჩვენი ჯარი. სიმხეცე ამის მეტი შეიძლება? ეს ერთი მაგალითი, ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი უწესოებები ხდება, დღე არ გაივლის, რომ არ გაიგო რამე შემთხვევა, გზაზე დახვედრა და ფულების წართმევა, საქონლის წართმევა. ცემა, სოფელში თავდასხმა და სხვა მრავალი ასეთები. თუ გუშინ ურმია გაძარცვეს და გადაწვეს, უნდა ველოდეთ, რომ ხვალ სხვა ქალაქებსაც ასეთი დღე დაადგებათ, თუ რაიმე ზომები არ იქნა მიღებული. საჭიროა ენერგიული აგიტაცია ჯარში, რომ ჯარმა თავისი მოვალეობა შეიგნოს და ასეთ სამარცხვინო მოვლენებს ბოლო მოეღოს.

რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანაში სპარსეთის ხალხი ძალიან ნდობით უცქეროდა რუსის ჯარს, რომელმაც დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა და ბოლო მოუღო საქვეყნო ტირანს, რომელიც საქვეყნო თავისუფლებას თავზარსა სცემდა. რუსეთის რევოლიუციით გათამამებული სპარსელები თავისუფლებაზე ალაპარაკდა და რუსის ჯარს დახმარებისთვის მოუწოდებდა. ვინც სპარსეთის ხალხთან ახლოს ცხოვრობს და მათი ჭირ-ვარამი გაგებული აქვს, არ შეუძლია მათ მოწოდებას გულ-გრილათ შეხვდეს. სპარსეთი ერთად-ერთი ჩამორჩენილი მხარეა მთელ ქვეყნიერებაზე, სადაც ბატონ ყმობა დღემდის თავის ძველებური სახით მიმდინარეობს. აქაურ ხალხს ალა-ხანებიდან დღემდისაც თავი ვერ დაუღწევია. თვითეულ სოფელში თითო „ხანია", რომელიც სოფელს და სოფლელებს, როგორც სურს ისე ექცევა და თუ მოესურვება სოფელს სულსაც გაჰკლავს. მაგრამ ხანს ხომ ვერ ვინ ამოიღებს თავი. ხანის წინააღმდეგ რომც უნდოდეს ჩივილი ვერსად იჩივლებს, ვინაიდან სოფლის მამასახლისებს თვით ხანები ირჩევენ და აყენებენ. ამიტომ რა თქმა უნდა ასეთი მამასახლისი ხალხის ინტერესებს ვერ დაიცავს. ვინაიდან რომც მოინდომოს, ეს, ხანს უფლება აქვს ის გადააყენოს და მის ადგილას სხვა დააყენოს. ასეთი წესებია თვით ქალაქებშიაც.

სწავლა-განათლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, პირველ-დაწყებითი სკოლებსაც კი იშვიათად შეხვდებით და ხალხის უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვს თუ რა არის სასწავლებელი. რა თქმა უნდა ასეთ ჩამორჩენილ ხალხს თავის ინტერესებიც არ აქვთ შეგნებული. აი, ამიტომ იყო, რომ რუსეთის რევოლიუციით გათამამებულ სპარსეთის მოწინავე ელემენტებიც ახმაურდნენ, შველას მოელოდნენ რუსეთის ხალხიდან, რომელმაც მიზნათ დაისახა დაჩაგრულ ერთა აღდგენა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ჯერ ჯერობით იმედები ვერ გაამართლა, მან დახმარების მაგივრად დარბევა დაუწყო დაჩაგრულ ხალხს.

ჩვენ მხოლოდ ერთი დაგვრჩენია ვუთხრათ: ამხანაგნო ჯარისკაცნო! გონს მოდით, რას სჩადიხართ?!

ლეო.

ვსთხოვ „ფიქარს" და „ბარბა"-ს რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

საჭამიასერი (გურია). 1917 წელს 9 ივლისს საჭამიასერზე მოხდა კრება არ. ხუნდაძის თავმჯდომარეობით. დამტკიცებული იყო კოოპერატივის ანგარიშები. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: პირველ იანვრამდე კოოპერატივს ჰქონებია საპაიო 4841 მ. 44 კ. პირველ იანვრიდან პირველ ივლისამდე ზემო აღნიშნულ თანხას მიმატებია საპაიო და საწევრო 3296 მ 50 კ. ვალი აღებია სხვადასხვა პირებიდან 5654 მ. 65 კ. ამ ექვსი თვის განმავლობაში კოოპერატივს „ჩვენ იმედს" გადაუტრიალებია 71,000 მ. ამ სახით მოგებია ყოველივე ხარჯს გარდა 5063 მ. რომელიც უდრის 10 ნახ. პროც. დღეს რჩება კოოპერატივში 13207 მ. ღირებული საქონელი. კრებამ ერთხმათ მიიღო და დაამტკიცა ზემო აღნიშნული ანგარიშები. შემდეგ ამისა იქნა არჩეული 3 კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: პავ. ქუასელი, თეოფანე თევზაძე, სერგო დუდუჩავა და საპატიო წევრათ სარევიზიო კომისიაში მღვ. ლუკა ხუნდაძე.

დ. ამბროლაური (ქვემო რ ჭ). კვირას, 25 ივნისს შესდგა ამბროლაურის მომხმარებელ საზოგადოების „პროგრესის" კრება. კრებაზე თითქმის ყველა წევრები გამოცხადდა. კრების მიზანი იყო გაეცნოთ წევრთათვის ოთხი თვის ანგარიში და რამოდენიმე წევრი გამგეობისა უნდა აერჩიათ. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ალ. ქავთარაძე, მდივნათ მღვდ. ვლ. მესხი. დუქანს ოთხი თვის განმავლობაში წმინდა მოგება დარჩენია 1723 მან. რაიც დიდ მოგებათ უნდა ჩაითვალოს. ამან ზოგიერთ ამხანაგებში გულის წყრომა გამოიწვია, ვინაიდგან ნოქრებს ზედმეტ ფასში გაეყიდათ საქონელი, კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია ზოგიერთ ამხანაგ წევრების არასაკადრისმა საქციელმა; გამოირკვა ზოგიერთი ახლობელი წევრები მოლაპარაკებულნი ყოფილან ვილაც ჩარჩთან, ესენი ხუთ-ხუთ გირვანქობით ეზიდებოდენ კოოპერატივიდან შაქარს და ამ ჩარჩ-ვაჭარს აძლევდენ, ამას კი თფილისში მიჰქონდა და ყიდდა. კრებამ ერთხმათ დაადგინა: ჩარჩ ვაჭარს და მის დამხმარე წევრებს მოსთხოვონ პასუხი. ანგარიშები ვერ უწარმოებიათ კარგათ, ძველი გასავლები გაბდა დავთრები და სხვა. ამიტომ საჭირო შეიქნა გამგეობის განახლება და კიდევაც აირჩიეს ახლები. გამოირკვა კრებაზე ისიც, რომ ნოქრებიც ვერ ასრულებდნენ ხეირიანათ თავის მოვალეობას, რაც რასაკვირველია მაზარალებელია დუქნისათვის. დიდი მოგება არ ნიშნავს საქმის კარგათ წარმოებას.

ქ. კრიხ-პირელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

სტამბის ფონდი.

გიგზავნით 33 მ. 75 კ. სადგურ. კარაკლისში ამხანაგებ და თანამოაზრეებში შეგროვილს. გთხოვთ გაანაწილოთ ასე: 20 მ. პარტიულ სტამბის ფონდს, 7 მ. „ერთობის" ფონდს და 6 მ. 75 კ. „ფიქარის" ფონდს.

პატივისცემით ბაგრატ ჩხენკელი.

—

გიგზავნით სამ მან. სტამბის ფონდისთვის.

მინა გიორგობიანი.

გიგზავნით მე 7 როტაში (14 ბათ.) ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს 18 მან. 50 კაპ. და გთხოვთ მოახმაროთ პარტიულ სტამბას.

მალხაზი გ. ფარულავა.

წერილები რედაქციის მიმართ

პასუხად ბ. ლუკა გაჟონიას.

გაზ. „ერთობის" მე 94 № ში დაბეჭდილია ბ. ლუკა გაჟონიას წერილი, რომლითაც დამწერი პასუხს მოითხოვს იმ ფულის შესახებ, რომელიც 1905 წ. გურიაში დამწვარ-დაზარალებულთათვის დასახმარებლად იყო შეგროვილი.

ბ. ლუკა გაჟონია ამბობს შემდეგს: „გაზ. „ერთობის" 1 ივნისის ნომერში მე (ე. ი. გაჟონიამ) მოვათავსე წერილი, რომლითაც მოვითხოვდი 15 დღის განმავლობაში მიეცათ პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი სხვა საშუალებისთვის მიმემართაო".

გაჟონიას წერილზე იმიტომ არ გავეცი პასუხი, რომ იქ ჩემი სახელი სრულებით არ იყო მოხსენებული. გაჟონიამ მიმართა იმათ, ვის ხელშიაც, მისი სიტყვით, დამწვრების ფული დარჩენილი, და მათგანაც არავინ დაუსახელებია. ჩემ ხელში არავითარი ფული არ არის დარჩენილი. ყველა ფული, მიღებისათანავე, დამწვრებისაგან არჩეულ კომისიის შეხედულებით უნაწილდებოდა დამწვრებს მათი ზარალის მიხედვით. ამის საბუთები თავის დროზე იბეჭდებოდა გაზეთებში და დღესაც ხელში მაქვს.

თავის მეორე წერილში გაჟონია ამბობს: „უკანასკნელ დროს (როდის იყო ეს უკანასკნელი დრო? ნ. ნ.) დაზარალებული ამხანაგების დავალებით მოვედი თქვენთან თფილისში და მოგთხოვეთ ფული. თქვენ ასე მიპასუხეთ: „ფული არის ჩემთან ორი ათასი მან. და მოგცემთ კიდეც, მხოლოდ იმ პირობით: წადი, შეეკითხე ამხანაგებს, და თუ დაგეთანხმებიან, ააგეთ აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, აირჩიეთ ხუთკაცი, ქარხნისთვის, შემატყობინეთ მე, და შემდეგ ფულს გადმოგცემთო".

აი რა სიტყვებს მაწერს და ცილსა მწამებს მე ბ. ლუკა გაჟონია. შეშლილი ან ერთობ თავხედი ადამიანი უნდა იყოს, რომ დამწვარ დაჩაგრულ კაცის ფული ხელში გქონდეს და მის მოთხოვნაზე ამგვარი პასუხი გასცე.

საკვირველი ისაა, რომ ლუკა გაჟონია, რომელიც 1905 წ. გურიაში თითქმის ყოველდღე, ზოგჯერ კი დღეში ორ სამჯერ მოდიოდა ჩემთან ფულისათვის, „უკანასკნელ დროს" ჩემთან მოსვლის შემდეგ მთელი წლების განმავლობაში ასეთი მისთვის არა ჩვეული მოთმინებით გაჩუმებული იყო და მხოლოდ ახლა სიცრუით გამოილაშქრა.

ნინო ნაკაშიძე.

—

აქ გარდაიცვალა ხონის მეოთხე კლასის მოწაფე [illegible] ნიკოს ძე სამსონია; მისმა ნათესავებმა, ნაცვლად გვირგვინისა, ფული შემოსწირეს მიცვალებულის სახსოვრად, ძიმითის ბიბლიოთეკა სამკითხველოს 40 მან. სამკითხველოს გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს შემომწირველებს, იმედია სხვებიც მიბაძავენ ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

გამგეობა.

მადლობას უცხადებთ პორფილე მიხეილის ძე სურგულაძეს და ვასო ამბაკოს ძე ზარმაძეს, რომლებმაც შემოქმედის სამკითხველოს შემოსწირეს პირველმა 10 მან. და მეორემ 3 მან.

ქ. ჩხატარაიშვილი.

კლუბების გაფიცვის გარშემო..

(პასუხად ქ. გოგიბერიძეს).

რამდენიც უნდა სწერონ ჩემს შესახებ, მე პასუხს არსებითად არავის გავცემ, მანამ მოსამსახურების და კლუბების საქმეს მომრიგებელი კამერა არ გაარჩევს. ამ საქმის გარჩევა კი დანიშნულია 19 ივლისს. იქამდის, ბატონო ჩემო, მოთმინება, მობრძანდით ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში დანიშნულ დროს და მაშინ ვთქვათ ყველაფერი. დიახ, ამათ გაარჩიონ კონფლიქტი მოსამსახურეებს და კლუბებთა შორის [illegible] გამოირკვევა და აიწონ-დაიწონება. მანამდე კი, თქვენ ბ. გოგიბერიძე, თავი უნდა შეიკავოთ, როგორც დაინტერესებულმა პირმა. რაც შეეხება მცირე თქვენს შენიშვნას „ერთობაში" დაბეჭდილს და ჩემს წინააღმდეგ მომართულს, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია. ესეც მომრიგებელ კამერაში დამტკიცდება. მე არა ერთხელ მითქვამს და დამიწერია, რომ ვისაც კერძოთ აინტერესებს კლუბების და მოსამსახურების საქმის გაცნობა, მათ შეუძლიათ თავისუფლად გაეცნონ ამ საქმეს თვით კლუბებში უტყუარ საბუთების მიხედვით.

დ. დუმბაძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი კიმოთე ბერიძე მსახურობდა მე-218 ქვეითა სათადარიგო პოლკში, მე-9 როტაში, მე-2 ვზვოდში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობეთ: Озургеты, Шемокмеди, Іосифу Пирцхалайшвили.

— ჯარისკაცი მიხეილ ლომიძე მსახურობდა მე-4 კავკასიის მესანგრე ქვეითა პოლკში, მე-12 როტაში. გვაცნობეთ: г. Тифлисъ, Кавказскій Каржой паркъ, ж. д. 2 рота Ивану Т. Ломидзе.

— ნიკიფორე თადეოზის ძე თვალაბეიშვილი, მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში „52 конно вольнонаемный вьючный транспортъ". თუ ვინმემ რამე იცის, გთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Самтредіи, Нестору Георгадзе.

— მოსე ალექსანდრეს ძე სამხარაძე შორაპნის მაზრის სოფ. წევა. ის მსახურობდა მომქმედ ჯარში, ქართველ მსროლელთა პოლკში 1 ტყვიისმფრქვეველ კომანდაში, გარდაიცვალა დაბა შარაპხანაში (სპარსეთში).

ჯარისკაცი ვლადიმერ ი. გაჩეჩილაძე.

— ჯარისკაცი მიხეილ კონსტანტინეს ძე რეხაძე, მსახურობდა ქართველთა მსროლელ პოლკში მე-2 როტაში. გარდაიცვალა ქალაქ სოუჯბულაღში (სპარსეთში) 18 ივნისს.

იასონ რეხაძე.

— ლეონტი სტეფანეს ძე სიხარულიძე მსახურობდა მე-119 სათადარიგო ქვეითა ბატალიონში, მე-10 როტაში, მე 3 ვზვოდში, მე 17 ბრიგადაში, კარსის ოლქში. გთხოვთ მაცნობოთ, Ст. Саджевахо, азіатскому мастеру, Самсону Сихарулидзе.

— მელიტონ იოსების ძე [illegible] იმყოფებოდა პიატიგორსკში (старая бойня домъ Морозова). ეს ორი წელიწადზე მეტია, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. ვთხოვ ამხანაგებს თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Окружной арсеналъ, Константинъ Копалейшвили.

— ჯარისკაცი ალექსანდრე გვიდოს ძე მგალობლიშვილი, მსახურობდა მე 5 კავკასიის მსროლელთა პოლკში. ვთხოვთ ყველას, ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს: Кавказская Армія, 115 Кавказскій Военный транспортъ, Евстафіи Петровичу Пичхаія.

— დავით [illegible] შარაშენიძე მსახურობდა მე 48 ქვეითი ოდესის პოლკში, მე-5 როტაში. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე გვაცნობეთ. კავკასიის პირველი ქართველ მსროლელთა პოლკში, მე 11 როტა. უნტ-ოფიცერს პარმენ გ. შარაშენიძეს.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანის ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4.

თფ. საქონლის სადგურში
იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები
გამოცემა საოლქო კომიტეტისა.
მსურველს შეუძლია მიმართოს
საშა ჩიგოგიძეს.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ღორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი.
პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი ა. დ. პაპელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606 და 914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.